სამაგალითო

№12(204)
დეკემბერი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე





რწმენის წელიწადი
ANNO DELLA FEDE

11.10.2012–24.11.2013

„...გაბრაზებული ვიყავი მასზე, რომ არ არსებობდა“



ერთ ახალ ამბავს გეტყვით, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. აი, ეს ამბავი რაში მდგომარეობს: დიდია მორწმუნეების სიხარული; ბედნიერია ის, ვინც „ქრისტიანია“, ანუ ვისაც შეუძლია ეკუთვნოდეს და სურს მიეკუთვნოს ქრისტეს კათოლიკე ეკლესიას.

ის, ვინც „ქრისტესია“, ღვთის არსებობის რწმენით არის აღჭურვილი: არა ფილოსოფიური ღმერთის რწმენით, რომლის მიმართ ინტერესს რაღაც ეტაპზე ამოწურავ; არა ისეთი ღმერთის, რომელსაც მხოლოდ მაშინ უხმობ, როცა სამყაროს მანქანა უნდა აამოძრაოს, და შემდეგ უმალვე დაემშვიდობები, რომ არ შეწუხდეს; არა ისეთი ღმერთის, რომელიც ქმნილების დანაშაულის შემდეგ თითქოს თვალს მიეფარა და საძებარი გახდა. ჩვენი ღმერთი არის „მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, – როგორც უყვარდა გამეორება წმიდა პავლეს, – *და მას შევხვდებით იესო ნაზარეველისა და მისი სახარების შეცნობით: „ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე და არავინ იცნობს ძეს, გარდა მამისა. არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა და იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ გამოუცხადოს* (მათ. 11,27).

მამის შეცნობით, იესო საკუთარი თავის უკეთ შეცნობას გვპირდება: შეგვაცნობინებს, თუ ვინ ვართ სინამდვილეში, რა მიზანი აქვს ამქვეყნად ჩვენს ტანჯვას, რა ხვედრი გველის საბოლოოდ. *„ქრისტე, უახლესი ადამი,* – აცხადებს ვატიკანის II კრება, – *მამისა და მისი სიყვარულის საიდუმლოს გამოცხადებით მთლიანად წარმოუდგენს ადამიანს თვით ადამიანს და მასვე უჩვენებს მის უზენაეს დანიშნულებას“* (*Gaudium et spes* 22). ასე ვაცნობიერებთ, – და ჩვენთვის ამაზე საინტერესო რამ არ არსებობს, – რომ ჩვენი არსებობა არ არის ანონიმური, ან ბრმა შემთხვევითობა, იგი გონივრული და კეთილმოწყალე ჩანაფიქრის შედეგია. ვაცნობიერებთ, რომ ადამიანი არ არის გზაარეული მოხეტიალე, რომელიც უარყოფს ყველაფერს: საიდანაც მოდის და საითკენაც მიდის; იგი მოტივირებული პილიგრიმია, რომელიც ღვთის სამეფოსაკენ (რომელსაც თავისადაც თვლის) და დაუსრულებელი სიცოცხლისაკენ მიმავალ გზას ადგას.

მაშ, ტკივილი, ტანჯვა? ბუნებრივი კატასტროფების შედეგად თავს დამტყდარი უცაბედი სიკვდილი, უდანაშაულო ჩვილების დაღუპვა? ადამიანის სიძულვილის შედეგად გამოწვეული სიკვდილი? იესო სწორედ თავისი ვნებისა და თავისი დიდების საიდუმლოს მეშვეობით გვიფარავს იმ გაუაზრებელი ვარაუდებისაგან, რაც შეიძლება ადამიანის გონებაში დაიბადოს: თუ ღმერთი არსებობს, ეს ღმერთი ბოროტია და ყოველი ბოროტების მიზეზიც. „მწამს სასტიკი ღმერთი, რომელმაც თავის მსგავსად შემქმნა“ (Credo in un Dio crudel che m’ha creato simile a sé), – ასე მღერის იაგო ჯუზეპე ვერდის „ოტელოს“ მეორე აქტში და აღიარებს თავის შიშისმომგვრელ მრწამსს. ღმერთი, რომელმაც ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრით გაგვაცნო თავი, არის ის ღმერთი, ვისაც ვუყვარვართ, და როგორც წმიდა პავლე ამბობს: *„ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ* (რომ. 8,28), მაშინაც კი, როცა ამას ვერ ვხვდებით. მანუგეშებელი და შემაგულიანებელი სიმართლეა ის, რასაც იესო გაგვანდობს, – ეს ხომ მისი მემკვიდრეობის მწვერვალია, – უკანასკნელი სერობის დიალოგში: „მამას უყვარხართ“ (იოან. 16, 27); ამ რწმენით ადამიანის გულში ყოველგვარი სიძნელე, ყოველგვარი სევდა, ყოველგვარი პესიმიზმი გადაილახება.

ისინი, ვინც ქრისტეს მიენდობიან, დაცულნი არიან ცდუნებისგან, მიენდონ იმას, რაც არაა სანდო და ეს პატარა ბედნიერება როდია. სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ: განა წუთისოფელს, რომელმაც

დაკარგა რწმენა, აღარაფრის სწამს? პირიქით, მას ყველაფრის სწამს: სწამს ჰოროსკოპების, ცრურწმენების, რეკლამების, სილამაზის მალამოების; სწამს, რომ არსებობს სიცოცხლე სხვა პლანეტებზე, არსებობს რეინკარნაცია; სწამს მისი, ვინც გამუდმებით იძლევა დაპირებებს ტელეეკრანიდან, თუ საარჩევნო პროგრამების მეშვეობით; სწორედ რომ ყველაფრის სწამს. ამიტომაც, ადეკვატური და სწორი იქნება, თუ ვისაუბრებთ განსხვავებაზე არა მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს შორის, არამედ მორწმუნეებსა და მათ შორის, ვისაც ყველაფერის სწამს.

კიდევ ერთი დიდი ბედნიერება, მათი, რომლებიც „ქრისტესი“ არიან, თავისუფლებაა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მკაფიო და ზუსტი დაპირება მივიღეთ: *„თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“* (იოან. 8, 31-32). ეს გაუსხვისებელი პრეროგატივა ქრისტიანს მასში მყოფი სულიწმიდის არსებობით ეძლევა, იმ სულიწმიდის, რომელიც, იესოს სიტყვებით, ჭეშმარიტებისაკენ მიგვიძღვის *„ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“* (2კორ.3,17); (შდრ. იოან.16,13). წმიდა ამბროსი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: *„სადაც რწმენაა, იქვეა თავისუფლება“*. თუმცა ყურადღებით იყავით, ვის ეუბნებით ამას, რადგან დღეს შეიძლება ყველამ ვერ გაიგოს ეს; შეიძლება ბოროტად იქნეს გაგებული: აერიოთ ამპარტავნებაში, შესაძლოა, ეს ასევე შეაფასონ, როგორც თავხედობა, შეუწყნარებლობა.

ნაკლებ ბედნიერებას როდი გვანიჭებს პატარ-პატარა, ყოველდღიურ ჩვევებსა და ზოგიერთ იმ კონკრეტულ ადათ-წესში ჩაღრმავება, რაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ხალისს მატებს. მაგალითად, რატომ ამზადებენ საქართველოში შობა-ახალ წელს გოზინაყს, რატომ ღებავენ წითლად კვერცხებს, რატომ უკეთებენ საკურთხს გარდაცვლილებს, – ეს ყველაფერი მხოლოდ მორწმუნეებმა უნდა იცოდნენ:... არა იმიტომ, რომ მათ მიერ მომზადებული გოზინაყი უფრო გემრიელი იქნება, ვიდრე არამორწმუნეების; უბრალოდ, მათი სამზადისი უფრო მეტად მოტივირებული, უფრო გააზრებულია.

კათოლიკე მორწმუნეები ახალ ლიტურგიულ წელს შევუდექით (ადვენტის I კვირა, ა.წ. 2 დეკემბერი); რა სხვაობაა ამ განსაზღვრებებს შორის: ლიტურგიული ჟამი და უბრალო ჟამი? ეს მხოლოდ მორწმუნეებმა უნდა იცოდნენ. რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის მოწვევით, წლევანდელი წელი რწმენის წლად გამოცხადდა (11 ოქტომბერი, 2012 – 24 ნოემბერი, 2013); რით იქნება იგი გამორჩეული სხვა წლებისგან? ეს მხოლოდ მორწმუნეებმა უნდა იცოდნენ.

წლების წინ, ყველა განცდით ელოდა ორი ათასი წლის შთამბეჭდავ ფინალს: მაგრამ მორწმუნეთა ემოცია და საზეიმო განწყობა გაცილებით მოტივირებული იყო. ჩვენ ნაკლებად ვიყავით ემოციას აყოლილნი და ზეიმის საბაბი ჩვენთვის დამრგვალებული ციფრი იყო (ორი ათასი!); ჩვენ უფრო გვახარებდა იმ მოვლენის მასშტაბური სახით გახსენება, რომელიც წუთისოფლის ისტორიის ცენტრალური, და უფრო მეტიც, უნიკალური მოვლენაა: ორი ათასი წლის აღნიშვნა კაცთა ცხოვრებაში ღმერთის არსობრივი და საბოლოო შესვლიდან. ამიტომაც, წლევანდელ წელს უფრო მეტი ძალისხმევით უნდა გავიხსენოთ მამის მხოლოდშობილი ძე, რომელიც ჩვენს მოძმედ იქცა და ჩვენში განსაკუთრებით აცხოველებდა იმ იმედს, რაც ორი ათასი წლის წინათ ჩაისახა და რამაც მთელი დედამიწა მოიცვა.

უკვე ადვილად მივხვდებით, თუ რაოდენ ბედნიერნი ვართ, განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ იმ ადამიანთა არასახარბიელო მდგომარეობას, რომლებსაც გარდაუვალი ცხოვრებისეული განსაცდელების წინაშე ყოფნისას, არ ჰყავთ არავინ, ვისზეც თავიანთ ბრაზს გადაიტანდნენ, იმათ გარდა, ვისაც სწამს, და ყოველი მათი პროტესტი, სხვა რომ არაფერი, ცოტა არ იყოს, კომიკურია. ცნობილი მწერალი კლაივ სტეიპლ ლევისი (Clive Staples Lewis, 1898 –1963, „*The Screwtape Letters*“, „*The Chronicles of Narnia*“ და სხვ.), როცა თავისი ურწმუნოების პერიოდს იხსენებდა, აღიარებდა: „უარვყოფდი ღვთის არსებობას და გაბრაზებული ვიყავი მასზე, რომ არ არსებობდა“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი



კლაივ სტეიპლ ლევისი

უწმიდესი პაპი კონფლიქტის გადაწყვეტისკენ მოუწოდებს

21 ნოემბერს, საერთო აუდიენციაზე, უწმიდესმა პაპმა ისრაელსა და ჰამასს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა: „დიდი გულისტკივილით ვუმზერ ისრაელიანთა და პალესტინელთა შორის კონფლიქტის ესკალაციას. ვლოცულობ დაღუპულთათვის და ტანჯულთათვის. მოვალე ვარ, კიდევ ერთხელ შევახსენო დაპირისპირებულ მხარეებს, რომ სიძულვილი და ძალადობა ვერასდროს ვერ იქნება პრობლემათა გადაჭრის საშუალება. ვუერთდები იმ ადამიანთა ინიციატივებსა და ძალისხმევას, ვინც ცეცხლის შეწყვეტის მიღწევასა და მოლაპარაკებათა ხელშეწყობას ცდილობს. მოვუწოდებ ორივე მხარეს, დაძლიონ მტრობა და დადგნენ მშვიდობის გზაზე“.

ინტერრელიგიური დიალოგის საერთაშორისო ცენტრი

26 ნოემბერს ვენაში „ინტერრელიგიური და ინტერკულტურული დიალოგის საერთაშორისო ცენტრი“ გაიხსნა. ცენტრის დაარსების ინიციატორი საუდის არაბეთის მეფე აბდულა ბინ აბდულ აზიზია. დამფუძნებელთა საბჭოს საუდის არაბეთის, ავსტრიისა და ესპანეთის წარმომადგენლები შეადგენენ. ცენტრის დაარსების გეგმა საუდის არაბეთის მეფემ ეწმიდეს პაპს 2007 წლის ნოემბერში, აუდიენციისას გაუზიარა. ცენტრის საქმიანობაში წმიდა საყდარი დამფუძნებელ-დამკვირვებლის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას. დამფუძნებელთა საბჭოში წმიდა საყდარს რელიგიათა შორის დიალოგის პონტიფიკალური საბჭოს მდივანი მიგელ აიუსო გიხოტი წარმოადგენს.

დიალოგი არ უნდა იყოს პოლიტკორექტული

„რელიგიათა შორის დიალოგი არ უნდა იყოს პოლიტკორექტული. ქრისტიანისთვის სხვათა რელიგიური გრძნობების პატივისცემა არ ნიშნავს საკუთარი რწმენისა და წმიდა წერილით მიღებული ჭეშმარიტების დაფარვას. პირიქით: ნაყოფიერი დიალოგის წარმართვა ეკლესიას მხოლოდ ჭეშმარიტების გაცხადებით შეუძლია. „პოლიტკორექტულობის“ გამო საკუთარი რწმენის დაფარვა, დუმილი გამოცხადებისა და ძე ღმრთისას განკაცების შესახებ – დაუშვებელია. რელიგიათა შორის დიალოგი გამართლებული და კორექტული მხოლოდ მაშინაა, როდესაც იგი სიყვარულითა და ჭეშმარიტებით წარიმართება. ამიტომ არაქრისტიანებთან დიალოგის ამოსავალი წერტილი ჩვენთვის ჩვენი რწმენა უნდა იყოს. ამასთანავე დიალოგი არაქრისტიანული რელიგიების წარმომადგენლებთან არის რწმენის მოწმობა, რომელიც სხვა ადამიანების, მათი ღირსებისა და სინდისის პატივისცემით უნდა წარიმართოს“, – აღნიშნა რწმენის მოძღვრების კონგრეგაციის პრეფექტმა გერჰარდ მილერმა, რელიგიათა შორის დიალოგის მიზნებსა და ფორმებზე საუბრისას.

წირვა სმენაშეზღუდულთათვის

პოლონეთის ქალაქ კელცეში, წმიდა სამების ტაძარში ყოველ კვირადღეს სმენაშეზღუდულ მორწმუნეთათვის აღევლინება წირვა ჟესტების ენაზე. „ღმრთის სიტყვისა და ევქარისტიის მისაღებად ტაძარში ორმოცდაათი ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანი მოდის“, – აღნიშნავს მამა მარტინ კალუჟა. მამა მარტინი კელცეს ყრუთა და სმენდაქვეითებულთა საგანმანათლებლო ცენტრის ასზე მეტ ბენეფიციარს უწევს სულიერ მეურვეობას.

ანგლიკანური ეკლესიის ახალი მეთაური



ქრისტიანული ერთობის პონტიფიკალური საბჭოს თავმჯდომარემ კურტ კოხმა ანგლიკანური ეკლესიის ახალ მეთაურს, კენტერბერის მთავარეპისკოპოს ჯასტინ უელბის ახალ სარბიელზე წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ იგი განაგრძობს და გააღრმავებს დიალოგს რომის კათოლიკე ეკლესიასთან.

ჯასტინ უელბი კონსერვატული შეხედულებებით გამოირჩევა. როგორც განაცხადა თავად მთავარეპისკოპოსმა, იგი კათოლიკური ტრადიციის ძლიერ გავლენას განიცდის და განსაკუთრებულად დაინტერესებულია ბენედიქტელთა სულიერებით.

უწმიდესი პაპი ბულგარეთის მართლმადიდებლებს უსამძიმრებს

6 ნოემბერს 98 წლის ასაკში გარდაიცვალა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი მაქსიმე. „ძალზე დამამწუხრა ჩემი ქრისტესმიერი ძმის, მისი უწმიდესობის, პატრიარქ მაქსიმეს გარდაცვალებამ. ვლოცულობ მისთვის და მადლობას ვწირავ უფალს ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან გულითადი ურთიერთობებისათვის, რასაც ასე უწყობდა ხელს პატრიარქი მაქსიმე“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისადმი გაგზავნილ სამძიმრის წერილში.

კოპტთა პატრიარქის აღსაყდრება

უწმიდესმა პაპმა თეოდორიუს II-ს კოპტთა საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება მიულოცა. „დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი წინამორბედის, მისი უწმიდესობა შენუდა III-ის მსგავსად, თქვენ ნამდვილი სულიერი მამა იქნებით თქვენი სამწყსოსი და დიდი წვლილის შეტანას შეძლებთ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების საქმეში. იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი ძმური თანამშრომლობა და საღმრთისმეტყველო დიალოგი, რათა უკეთ შევძლოთ, ვაუწყოთ მსოფლიოს სახარების ჭეშმარიტება“.

თეოდორიუს II 4 ნოემბერს აღსაყდრდა. საპატრიარქო ტახტზე მან თავისი წინამორბედი, ამა წლის მარტში გარდაცვლილი პატრიარქი შენუდა III შეცვალა.

ქრისტიანთა დევნა. 2012 წლის ნოემბერი

სააგენტო Fides იტყობინება, რომ სირიაში, ჰომსში მოკლულია ქალაქის უკანასკნელი ქრისტიანი მკვიდრი. მიუხედავად იმისა, რომ გააფთრებული ბრძოლების ზონაში ცხოვრობდა, 84 წლის ელიას მანსურმა არ ისურვა თავისი სახლის დატოვება. „თუკი სეპარატისტები ჩემს სახლში მოვლენ, წმიდა წერილსა და ათ მცნებას გავახსენებ“, – განაცხადა მან დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე.

4 ნოემბერს ტანზანიის დედაქალაქ დოდომაში შეიარაღებულ პირთა ჯგუფი თავს დაესხა ქრისტიანთა დასახლებას. დაშავდა რამდენიმე ადამიანი, დამწვარია სამი ეკლესია. მომხდართან დაკავშირებით, დაკავებულია სეპარატისტული ჯგუფის, „ისლამური მობილიზაციისა და პროპაგანდის ასოციაციის“ რამდენიმე წევრი.

18 ნოემბერს კენიის დედაქალაქ ნაირობიში კათოლიკურ სამლოცველოსთან და დაწყებით სკოლასთან აფეთქებულ ნაღმს შვიდი ქრისტიანი ემსხვერპლა.

ბანგლადეშის ერთ-ერთ სოფელში ქრისტიანებს სოფლის სარგებლობაში არსებული ჭებიდან წყლის აღებას უკრძალავენ. ამგვარი მეთოდით ადგილობრივი მუსლიმები თავიანთი გაქრისტიანებული მეზობლების ისლამის წიაღში დაბრუნებას ცდილობენ.

10 ნოემბერს ნიგერიის ქალაქ ჰაიდამში შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ქრისტიანთა დასახლებას. მოკლულია დასახლების შვიდი მკვიდრი. გასული წლის განმავლობაში ჰაიდამში „ბოკო ჰარამის“ დაჯგუფებამ რამდენიმე ტერაქტი განახორციელა. დამწვარია შვიდი სამლოცველო, სასამართლოს შენობა და სავაჭრო ცენტრი.

ფილიპინებზე, ქალაქ ბონგაოში, კათოლიკური ტაძრის წინ, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულია ადგილობრივი სამრევლოს თანამშრომელი ქალი, 62 წლის კონჩიტა ფრანსისკო. რეგიონს ექსტრემისტული დაჯგუფება „აბუ-საიათი“ აკონტროლებს.

კათოლიკე მონაზვნები დევადასის ეხმარებიან

ინდოეთში, კარნაკას შტატში წმიდა ჯვრის დების კონგრეგაციის მონაზვნები დევადასის, – ინდუისტური ტაძრების მოცეკვავე ქალებს ამ საქმიანობისაგან თავის დაღწევასა და ღირსეული ცხოვრების დაწყებაში ეხმარებიან.

ინდუისტური ტრადიციის თანახმად, დევადასები ტაძრის მოცეკვავეები იყვნენ. ოჯახი ტაძარს მცირეწლოვან გოგონას სწირავდა, ზოგჯერ დევადასი გაუთხოვრად დარჩენილი ქალი ხდებოდა. 1988 წლიდან ეს ტრადიცია კანონით აიკრძალა, თუმცა არ შეწყვეტილა. კარნაკას შტატის ქალთა და ბავშვთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს ამ რეგიონში 5000 დევადასი იყო. „თავდაპირველად დევადასი განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ინდუისტურ კულტურაში. იყვნენ ჩინებული მოცეკვავეები, მონაწილეობას იღებდნენ სატაძრო რიტუალებში, თითქმის მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდნენ და არ ასოცირდებოდნენ სექსთან. დროთა განმავლობაში ტრადიცია შეიცვალა. ახლა დევადასები დაბალი კასტის წარმომადგენლებიც ხდებიან. ეს გოგონები და ქალები გარიყულები არიან. მათ რცხვენიათ საკუთარი საქმიანობის, მაგრამ ინდოეთში ამ ყოფიდან თავის დაღწევა ძალზე ძნელია“, – წერს ბრიტანული The Independens-ის კორესპონდენტი სარა ჰარისი.

მონაზვნები კარნაკას 10 სოფლის მკვიდრ ქალებს უწევენ დახმარებას. დევადასის შვილებისთვის შექმნილია სკოლები, სადაც უკვე ხუთასი ბავშვი სწავლობს. ზოგჯერ კონგრეგაციის დები დევადასის გამოსყიდვას ახერხებენ, გათავისუფლებულ ქალებს რაიმე ხელობის, ან პროფესიის ათვისებაში ეხმარებიან და მათ დასაქმებას ცდილობენ.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ერთი დღე ახალციხეში

განახლებული რაბათი, ინფორმაცია განსჯისათვის

ქალაქი ახალციხე, – მას შემდეგ, რაც სტუდენტობის დროს, 1982 წელს პირველად ვესტუმრე რამდენიმე დღით, – მუდამ იწვევდა ჩემს აღტაცებას, თავისი არქიტექტურით, ქალაქური იერითა და სტუმართმოყვარე, თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული და გულმართალი ადამიანებით. იმ ხანად ჩემს ახალციხისადმი აღტაცებას ბევრი თბილისელი გაოცებით ხვდებოდა, მათში ეს სასაზღვრო რეჟიმში მოქცეული ქალაქი, რომელსაც ვიზის გარეშე ვერ ესტუმრებოდი, რაღაც შორეულ და უცხო, არაქართულ ასოციაციას იწვევდა. იმდროინდელი ხელისუფლებისთვისაც ახალციხეზე ზრუნვა აქტუალურ საკითხს არ წარმოდგენდა. ჰოდა, რჩებოდა ახალციხე დაზიანებული ქუჩების, სასმელი წყლის პრობლემის ანაბარა. 90-იან წლებში ამ პრობლემებს მასობრივი უშუქობა დაემატა. მახსოვს, იმ ხანად ჩაბნელებულ ახალციხეში ერთადერთ განათებულ ადგილს თამარ მეფის ძეგლი წარმოადგენდა, სადაც საღამოობით თავს იყრიდა ქალაქის ახალგაზრდობა. ქალაქის ხუროთმოძღვრული მშვენება ციტადელი კი, სადაც ისტორიულ მუზეუმთან უშუალო მეზობლობაში მდებარე რუსული სამხედრო ჰოსპიტლის ნახევრად ავარიული შენობები უკეთესი მომავლის მოლოდინში სულს ღაფავდნენ, და მათი დათვალიერების სურვილიც რომ გაჩენოდა, ტურისტი მისვლას ვერ შეძლებდა, ღრმა ორმოებით დაღარული გზის გამო. მხოლოდ სასტუმრო „მესხეთის“ აივნიდან თუ დატკბებოდი ახალციხის შუასაუკუნოვანი ციხე-სიმაგრის – „რაბათის“ მშვენიერებით.

არადა, ძველი ქალაქური იერ-სახის მქონე ქალაქი საქართველოში მხოლოდ თბილისი, ნაწილობრივ ქუთაისი, თელავი, სიღნაღი, გორი და ახალციხეა. ყველაზე სრული სახით მხოლოდ ახალციხეში არის შემორჩენილი შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსიც და სხვა ქართულ ქალაქებს ნუ ეწყინებათ და, მათგან განსხვავებით, ახალციხეში არასდროს მინახავს ქუჩაზე მოსეირნე შინაური პირუტყვ-ფრინველიც. ეს ქალაქი ყოველთვის იყო გამორჩეული, ქალაქური კულტურის მატარებელი, შუა საუკუნეებშიც, საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის წლებშიც, როცა მართლაც დაიწყო პროცესი ქალაქისა და სოფლის იძულებითი დაახლოებისა.

გამორჩეული იყვნენ ახალციხელებიც. ამ ქალაქში კულტურა ოსმალეთის დროსაც ყვაოდა, როცა ჯაყელი ფაშები განაგებდნენ მესხეთს და მაშინაც, როცა ოსმალეთის ბატონობა რუსულმა ცარიზმმა ჩაანაცვლა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ახალციხე გახდა რიგით მესამე ქალაქი, თბილისისა და ქუთაისის შემდეგ, სადაც საერო სასწავლებელი ამოქმედდა. გასულ წელს პატივი გვქონდა, ახალციხის პირველი საშუალო სკოლის დაარსების 180-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დავსწრებოდით.

ახალციხის შვილებმა, ქართველმა კათოლიკე სასულიერო მოღვაწეებმა, როცა რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამშობლოში ვერ შეძლეს ეროვნული საქმიანობის ფართო მასშტაბით გაჩაღება, ოსმალეთის დედაქალაქში, უშუალოდ კონსტანტინოპოლში, ააგეს ქართული სავანე (მონასტერი, სემინარია, ბიბლიოთეკა, სტამბა და სასტუმრო სახლი), რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი გაუწია ქართულ კულტურას, შემდგომ კი ბოლშევიკურ ოკუპაციას გარიდებულ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასა და ემიგრაციაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს. ახალციხელმა კათოლიკეებმა საფრანგეთში (მონთობანი) და რომშიც გააგრძელეს ფართო მასშტაბის კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობა.

ახალციხე იყო ის ერთადერთი ქალაქი, სადაც საბჭოთა რეჟიმის დროს, 1980 წელს ამოქმედდა წმ. მარინეს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც სულ მალე ახლად დაფუძნებული მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის კათედრალად იქცა.

ახალციხე, როგორც მრავალეროვნული და მრავალკულტურული ქალაქი, ყველა მის მკვიდრს აძლევდა განვითარების შესაძლებლობას. გასულ საუკუნეებში, ეჩმიაძინში, სომხური ეკლესიის პატრიარქებად რამდენიმე ახალციხელი ეპისკოპოსი იქნა ხელდასხმული. საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი მომღერალი შარლ აზნაურიც წარმოშობით ახალციხელია და მუდამ ამაყობს ამით.

ახალციხელ ებრაელთა თემიც თავისი ღრმა რელიგიურობითა და სინაგოგით სამაგალითო იყო საბჭოთა კავშირის იუდეველთა შორის და ყველგან დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ მათ. თბილისის მთავარი სინაგოგაც ხომ სწორედ ახალციხელთა მიერ არის აგებული.

სხვა მრავალი ფაქტის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია. მე რომ დავთვალე, თუ რა ხანი მქონდა გატარებული ახალციხეში, სამი ათეული წლის განმავლობაში მივლინებებით ყოფნის დროს, აღმოჩნდა, რომ საერთო ჯამში ერთი წელი მიცხოვრია ამ ქალაქში. მაგრამ მთელი ამ პერიოდის შთაბეჭდილებები ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც ბოლო სტუმრობისას განვიცადე. დარწმუნებული ვარ, ასეთი აღფრთოვანებული გრძნობა ეუფლება ყველა ახალციხელსაც, როცა განახლებული რაბათის არქიტექტურულ კომპლექსს მოინახულებს, ან სულაც ქალაქის სხვადასხვა უბნიდან ღამის განათებით აფერადებული ციხე-ქალაქის გოდოლებს გახედავს.

ორიოდე თვეც არ არის გასული, რაც განახლებული რაბათი გაიხსნა და ტურისტულ მარშრუტში უკვე პირველი ადგილი დაიკავა. თუ ადრე ვარძიის, საფარისა და ზარზმის სანახავად მოეშურებოდნენ მესხეთში, ახლა ტურისტული ჯგუფები კონკრეტულად განახლებული ახალციხის ციტადელის მოსანახულებლად მიემგზავრებიან. ციხე-ქალაქის კომპლექსის ლოგიკურ გაგრძელებას კი 6 ოქტომბერს საზეიმოდ გახსნილი, საფუძვლიანად აღდგენილი სავარდის დედუფლის სახელობის ახალციხის კათოლიკური ტაძარი და ბენედიქტელთა მონასტერი წარმოადგენს, რომელიც გვირგვინად ადგას თავს განახლებულ რაბათს.

რა თქმა უნდა, ახლა ყველა აღფრთოვანებულია რაბათის განახლებითაც და ტაძრის აღდგენითაც. მართლაც უსიამოვნო სანახავი იყო 50-იან წლებში ბოლშევიკების მიერ განადგურებული კათოლიკური ტაძრის არქიტექტურული ჩონჩხი ახალციხის თავზე. ეს რაღაც ავბედითი სიმბოლო იყო ათეისტური რეჟიმისა. კათოლიკური ტაძრის განადგურება იშვიათი ობსკურანტიზმის მაგალითი გახლდათ, რადგან ის მხოლოდ რელიგიურ-კონფესიური ნაგებობა როდი იყო. ტაძარი და მისი შემოგარენი საქართველოს ისტორიის ძეგლს წარმოადგენს. აქ დაკრძალულია გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე. გადმოცემის თანახმად, აქვე ყოფილა დაკრძალული სოლომონ ლიონიძე (ამჟამად საფლავი არ იძებნება), ერეკლე II-ის თანამოაზრე და მისი რუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგეც, რომელმაც ცარიზმის დამქაშებს თავი დააღწია და ახალციხეში პოლიტიკური იმიგრაციის დროს გარდაიცვალა. სხვათა შორის, ახალციხეს თავს აფარებდა 1810 წელს თბილისის საპყრობილედან გამოპარებული იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II-ც. ჰოდა, ამგვარი ტაძარი და ისტორიული ძეგლი, ისევე როგორც მთელი რაბათის კომპლექსი, წლების მანძილზე ელოდა რესტავრაციას. რესტავრაცია კი მრავალი წლის წინაც იყო შესაძლებელი. იყო თანხები, მაგრამ არ იყო ნება. მავანთა ფობიების გამო, ვერ ხდებოდა არქიტექტურული კომპლექსის აღდგენა. ქალაქის ბიუჯეტი კარგავდა სასიცოცხლო თანხებს, ისევ და ისევ მავანთა ფობიებისა და ჯიუტი ახირებების გამო. სამართალი კი ყოველთვის იზეიმებს ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად დიდი დაგვიანებისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვის შემდეგ. მიზეზი კი ისევ დაბალი სამოქალაქო კულტურა და მაღალი, უაზრო ფობიებია. რამდენიმე წლის წინ, როცა ყველა ოფიციალური საბუთის არსებობის პირობებში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეპირი და წერილობითი ნებართვების მიუხედავად, ვერ მოხერხდა კათოლიკური ტაძრის მშენებლობის დაწყება, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მაინც განხორციელდებოდა; და მართლაც, ათიოდე წლის შემდეგ, არა ქალაქის გარეუბანში, არამედ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, არქიტექტურულ დომინანტ სივრცეში, აღიმართა უმშვენიერესი ტაძარი და ბენედიქტელთა მონასტერი, და სადაც, ახალციხეში მორიგი სტუმრობისას, უშუალო მოწმე გავხდი ამ ახლად აღდგენილ ტაძარში, მესხეთის დეკანოზის, მამა ზურაბ კაკაჩაშვილის მიერ აღსრულებული პირველი ნათლობისა.

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი გასულ წელს მ. თამარაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ ფართო სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობდა. უნივერსიტეტის რექტორის, ქალბატონ თინა გელაშვილის თანადგომით, სამეცნიერო ფორუმი სანიმუშოდ ჩატარდა. სამეცნიერო კონფერენცია ერთგვარი კონფესიათაშორისი თანამშრომლობის მაგალითადაც იქცა. სამცხე-ჯავახეთის მხარისა და საქართველოს მასშტაბითაც, მ. თამარაშვილის საიუბილეო დღეებმა ფართო, დადებითი რეზონანსი გამოიწვია. ამ იუბილემ შემართება მოგვცა, მიმდინარე წელს ასევე აღგვენიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, ეთნოგრაფის, მიხეილ თამარაშვილის მასწავლებლისა და თანამოაზრის, სასულიერო პირის, მამა ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავი და ამ თარიღისადმი მიგვეძღვნა სამეცნიერო კონფერენციათა ციკლი თბილისსა და ახალციხეში.

წინამძღვრის ერთი დღე

სწორედ ამ სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში ვესტუმრეთ ახალციხეს კულტურისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების კომისიის წევრი ვასილ ბალიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. მამა ზურაბმა, მიუხედავად მართლაც უსაზღვროდ დაკავებულობისა, გამონახა დრო, რათა მასპინძლობა გაეწია ჩვენთვის ახალციხეში. გავითვალისწინეთ რა მამა ზურაბის გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, ოპერატიულად მოვაგვარეთ ყველა პრობლემა, შევხვდით სამეცნიერო ფორუმთან დაკავშირებულ ყველა პასუხისმგებელ პირს (რექტორიდან დაწყებული, კონფერენციის გულშემატკივრებით დამთავრებული). ორგანიზაციული საქმიანობის მოგვარების შემდგომ, ახალციხის ვოიაჟის დარჩენილი დრო, ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, მამა ზურაბის მსახურების გაცნობას მივუძღვენი.

18 ოქტომბერი წმინდა ლუკა მახარებლის ხსენების დღეა. სანამ ჩვენ ახალციხეში შეგვხდებოდა, მამა ზურაბმა ჯერ დაბა ვალეს ტაძარში აღავლინა სადღესასწაულო წმინდა წირვა. საორგანიზაციო შეხვედრების შემდეგ, სოფელ ივლიტაში ჩვენც დავესწარით მამა ზურაბის მსახურებას. ივლიტაში კათოლიკური სამრევლო დროებით ისტორიული ტაძრის მეზობლად

▶ 8 გვ.

◀ 7 ᲒᲒ.

მდებარე სახლში არის განთავსებული. ეს სახლი ადრე მღვდლის საცხოვრებელს წარმოადგენდა. აქ აღმოსავლური წესის კათოლიკე მოძღვარი მ. სერაფიმე ცხოვრობდა. საეკლესიო ნაგებობის გარეშე დარჩენილი ივლიტას კათოლიკე მრევლისათვის ეკლესიამ სწორედ ეს სახლი შეარჩია და აქ სისტემატურად სრულდება წირვა-ლოცვები. მორწმუნეებს ნებისმიერ დროს აქვთ საშუალება, ესტუმრონ სამლოცველოს და მღვდლის გარეშეც აღასრულონ ლოცვები.

სანამ ტაძრამდე მივედით, მამა ზურაბს უყურადღებოდ არ დაუტოვებია სოფლის ორღობეში შემხვედრი ივლიტელები. ისინიც, გრძნობენ რა მოძღვრის ამგვარ ზრუნვასა და სიყვარულს, მეტი შემართებით არიან საკრებულოში. წირვის შემდეგ კი, სანამ მამა ზურაბი მრევლის წევრებს ესაუბრებოდა, მოვასწარით და ივლიტას ტაძარიც მოვინახულეთ. 1991 წლის შემდეგ, როცა მაშინდელმა ხელისუფლებამ თვითნებურად გადასცა ეს საეკლესიო ნაგებობა მართლმადიდებელ მღვდელს, აქ არ ვიყავი ნამყოფი. ნანახმა მართლაც გაგვაოცა. ივლიტას ტაძარი უნიკალურია საქართველოში თავისი ეკუმენური შიდა მოწყობით. ერთმანეთის გვერდიგვერდაა განთავსებული ორი – მართლმადიდებლური და კათოლიკური – საკურთხეველი. მარჯვენა კედელზე რომის პაპების, ნეტარი იოანე-პავლე II-ის და ბენედიქტე XVI-ის ფოტოებია. აქვე კათოლიკური ტრადიციის ხატებია გამოფენილი. მართალია, მამა ზურაბს არა აქვს უფლებამოსილება ამ ტაძარში შესვლისა (ეს ისე გულისტკივილით გვითხრა მამა ზურაბმა, რომ ცრემლები მომადგა, ხოლო ვასილ ბალიაშვილმა აღშფოთება ვერ დამალა), მაგრამ ივლიტელი მორწმუნეები ყოველ დილით, 8-დან 11 საათამდე, ლათინური წესით ლოცულობენ ტაძარში, შემდეგ უკვე მართლმადიდებლური მსახურება სრულდება. „მას შემდეგ, რაც ბენედიქტელი მონაზვნები ჩამოვიდნენ, დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ტაძარი დაგვიბრუნდება, მათ ლოცვას უდიდესი ძალა აქვს“, – იმედიანად განგვიცხადა მამა ზურაბმა. მე უკვე ვთხოვე მათ, ილოცონ ივლიტას ტაძრის დაბრუნებისათვის, – დასძინა ბოლოს.

ივლიტადან რაბათის წმინდა სავარდის დედუფლის ტაძრისაკენ გავემართეთ. იქ უკვე გველოდნენ მოსანათლად მოსული მორწმუნეები. „ეს პირველი ნათლობაა ახალციხეში, რაც ახალი ტაძარი ეკურთხა“, – სიხარულით განგვიცხადა მამა ზურაბმა. სატაძრო ნაგებობის არქონის პირობებში, ახალციხელი კათოლიკეები ერიდებოდნენ სამლოცველო სახლში ნათლობის რიტუალის ჩატარებას. ცდილობდნენ, ტაძარში, თუნდაც საკმაოდ შორს, სხვა ქალაქში მოენათლათ ბავშვები. ან სულაც მართლმადიდებლურ ტაძარში ნათლავდნენ. ეს კი შემდგომ სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს იწვევდა. და აი, ახლა, რაბათის ახალ ტაძარში, ახალციხელი ზაზაშვილების ოჯახის სამი მოზარდი: ანა, აზა და ზაზა, დღეს გახდა ქრისტიანი. ზაზაშვილების ოჯახის სიხარულს, მათთან ერთად ნათლობაზე მოსული მათი ახლობლებიც, მათი სულიერი მოძღვარი და ჩვენც, თბილისელი სტუმრები, ვიზიარებდით. ამ დღეს აღესრულა ჯვრისწერის საიდუმლოც, კერძოდ, ჯვარი დაიწერეს სოფო და პაატა ჩილინგარიშვილებმა. ჯვრისწერისა და ნათლობის შემდეგ, ახალციხის სამლოცველო სახლს ვესტუმრეთ, სადაც მამა ზურაბმა ადორაციის რიტუალი ჩაატარა წმ. ნინოს კონგრეგაციის მონაზვნებისა და მორწმუნეთათვის, აღსარებაც ჩაიბარა და შემდგომ, იტალიიდან ჩამოსულ სპეციალისტთან ერთად, ვალეში გაემგზავრა სა-

რემონტო საქმეების მოსაგვარებლად, შემდეგ კი მორიგი საღამოს მსახურება და მეორე დღისთვის სამზადისი... და ასეა ყოველდღე, ადრე დილიდან გვიან ღამემდე, ვალეს, ახალციხის, ივლიტას, ბორჯომის და კვირაში ორჯერ თბილისის ნეოკატეხუმენური საკრებულოებისათვის ღვთისმსახურების შესრულება, ახალგაზრდულ ცენტრში მუშაობა, ავადმყოფთა მონახულება და კიდევ მრავალი სხვა საქმიანობა, რომელიც თან სდევს ღვთისმსახურის საქმიანობას; და კიდევ, მამა ზურაბი მესხეთის დეკანოზი და სამი საკრებულოს წინამძღვარია, რაც დამატებით მრავალ წვრილმან თუ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ საქმიანობას მოიცავს: შეხვედრები ახალციხის ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, და კიდევ, მრავალრიცხოვან ადგილობრივ და უცხოელ სტუმართა დახვედრა, სხვადასხვა კომისიაში საქმიანობა. ერთადერთი, მამა ზურაბი ხანმოკლე შვებულების დროს ისვენებს, როდესაც პოლონეთში, თავის ყოფილ საკრებულოში მიემგზავრება და მხოლოდ რიგითი მღვდლის საქმიანობით არის დაკავებული. და მაშინაც, ფიქრით სულ ახალციხეშია, სადაც მისი სულიერი შვილები მოუთმენლად ელიან მათი დეკანოზისა და მოძღვრის დაბრუნებას.

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს, მამა ზურაბ, დაუღალავი მსახურებისათვის. გისურვებთ, აგსრულებოდეს შენი სანუკვარი სურვილი – ივლიტას ტაძრის დაბრუნება, რის იმედსაც რაბათის წმ. სავარდის ტაძრის ამოქმედება და წმ. ბენედიქტეს ორდენის მონაზონთა მსახურება გვინერგავს.

ნუგზარ ბარდაველიძე
ახალციხე-თბილისი

P.S.კიდევ ერთი სიხარული, რომელიც ამ დღემ მოგვანიჭა, გახლდათ ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებული „გულანი“, XI ნომერი, რომელიც მთლიანად დიდი ქართველი მამულიშვილის, მეცნიერისა და მღვდელმსახურის, მიქაელ თამარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს დაეთმო. „გულანის“ ამ ნომრის გამოცემა ორმაგად სასიხარულო გახლდათ, რადგან მასში ამ სტრიქონების ავტორის, მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილი და პრემიით აღნიშნული სამეცნიერო კვლევაც გამოქვეყნდა, რომელიც, მასში გამოთქმული თამამი მოსაზრებების გამო, ზოგიერთი მეცნიერის შეშფოთებასაც იწვევდა.

„საბას“ კორესპონდენტების შეხვედრა

ტრადიციის თანახმად, ჟურნალ „საბას“ კორესპონდენტები და სარედაქციო საბჭოს წევრები წელიწადში ორჯერ ვიკრიბებით, რათა შევაჯამოთ განვლილი ნახევარი წლის შედეგები, ვიმსჯელოთ წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებზე. ასევე, ტრადიციად იქცა ამ შეხვედრებზე ქვეყნის წამყვანი ჟურნალისტების მოწვევა, რათა გამოცდილ პროფესიონალებთან ერთად გავაანალიზოთ ჩვენი ჟურნალის ავკარგიანობა, დავსახოთ ახალი გზები და, რაც მთავარია, ამგვარი შეხვედრები გვეხმარება, გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა. საშემოდგომო შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ რამდენიმე საკრებულოში ნებაყოფლობითი კორესპონდენტების როტაცია განხორციელდა და ახალი კორესპონდენტები პირველად იღებდნენ მონაწილეობას სამუშაო შეხვედრაში, ეს მათთვის გაცნობისა და საქმეში ჩართვის საუკეთესო საშუალება გახლდათ.

სამუშაო შეხვედრა საკრებულოების კორესპონდენტთა ანგარიშით დაიწყო, შემდეგ კი კონკრეტული და ზოგადი პრობლემების განხილვაზე გადავედით. ცხადია, ვერც პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ვითარების განხილვას ვერ ავცდით. ყველას აინტერესებდა ახალი პარლამენტისა და ხელისუფლების დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიის მიმართ. გადაწყდა, რომ შემდგომ შეხვედრაზე მოვიწვიოთ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ის პარლამენტარი, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვით იქნება დაკავებული.

შეხვედრის სტუმარი გახლდათ ცნობილი პოეტი, ბეჭდური ჟურნალების: „მასწავლებელი“, „არმია“ და ელექტრონული ჟურნალის „მასწავლებელი“ მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ნატო ინგოროყვა. საგანგებო სტუმრის კანდიდატურის შერჩევა შემთხვევით არ მომხდარა. ჟურნალი „მასწავლებელი“ და „არმია“, ისევე როგორც „საბა“, უწყებრივი გამოცემებია. ამ გამოცემების უმთავრესი ამოცანა კონკრეტული ორგანიზაციების, ერთ შემთხვევაში განათლებისა და თავდაცვის სამინისტროების, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოში მოქმედი ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებისა და ყოფის, პრობლემებისა და ამ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება და წარმოჩენაა.

ამ გამოცემებს თავისი ჩამოყალიბებული, სპეციფიკური სეგმენტი და მკითხველთა განსაზღვრული ჯგუფი გააჩნია და არც მოგებაზეა ორიენტირებული. მათი გამოცემის მიზანი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ინფორმირებულობაა და ეს გამოცემები არ არიან კომერციულ მოგებაზე ორიენტირებულნი. თუმცა, ქალბატონ ნატოსთან საუბრით აღმოჩნდა, რომ უწყებრივ გამოცემასაც, მიუხედავად ფოკუს-ჯგუფზე ორიენტირებისა, სწორი მარკეტინგული პოლიტიკის ვითარებაში, შეუძლია მოგების ნახვაც. გამოცემის მეორე წელსვე ჟურნალმა „მასწავლებელმა“ სრული თვითდაფინანსებით შეძლო საქმიანობის წარმართვა, ხოლო ჟურნალი „არმია“ მეორე ნომრიდან იქცა ბესტსელერად. „საბას“ კორესპონდენტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ინტერნეტ-გამოცემა „მასწავლებლის“ გამოცდილების გაზიარება. რამდენიმე თვეში ინტერნეტ-გამოცემის მუდმივ მკითხველთა რიცხვმა რამდენიმე ათეულ ათასს მიაღწია. მომავალი ინტერნეტ-გამოცემებს ეკუთვნის და სასურველია, რომ ჟურნალმა „საბამ“ ამ კუთხითაც აიღოს ორიენტაცია, – ურჩია კორესპონდენტებს ნატო ინგოროყვამ. მართლაც, ინტერნეტი დღეს ყველაზე დაშორებული სოფლებისთვისაც აღარ წარმოადგენს ფუფუნებას. თითქმის ყოველ ოჯახში არის კომპიუტერი (ხან რამდენიმეც კი), ახალგაზრდა თაობას კითხვა ინტერნეტში უფრო ეხალისება. ამიტომ აუცილებელია ინტერნეტ-სივრცეში „საბას“ გავრცელების ორგანიზება. ქალბატონ ნატოს მადლობა მოვახსენეთ ამ რჩევისათვის, ხოლო კორესპონდენტ შორენა პარუნაშვილს უკვე მიეცა დავალება სოციალურ ქსელ ფეისბუკში „საბას“ ელექტრონული საინფორმაციო ვერსიის განთავსებისა.

დასასრულს, მამა გაბრიელემ შეაჯამა შეკრება, „საბას“ კორესპონდენტებს სპეციალური გრაფიკის მიხედვით გაუნაწილა დავალებები. ვინაიდან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საქართველოს პარლამენტი ქუთაისში ფუნქციონირებს და პარლამენტარებთან შეხვედრა იქ უფრო მოსახერხებელია, სავარაუდოდ, შესაძლოა, კორესპონდენტების მომავალი შეკრება მეორე დედაქალაქშიც გაიმართოს, თუ მანამდე პარლამენტი თბილისს არ დაუბრუნდა.

ვერიკო ნოზაძე

ივანე გვარამაძე 100

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში დიდი მამულიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა

„საბას“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოში, კათოლიკე ეკლესიის კულტურის კომისიის გადაწყვეტილებით, მიმდინარე 2012 წელი დიდი ქართველი მამულიშვილის, კათოლიკე მღვდელმსახურის, ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით აღინიშნა: რაბათში ივანე გვარამაძის საფლავის განახლება, მომლოცველობა ეფესოსა და კაბადოკიაში... ამ წელს სიმბოლურად დაემთხვა რაბათის კათოლიკური ტაძრის აღდგენა და საზეიმოდ კურთხევა. ასეულობით ადამიანმა პატივი მიაგო ივანე გვარამაძის საფლავსაც.

კულტურის კომისიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას მიანიჭა. ვინაიდან ივანე გვარამაძე მრავალმხრივი მეცნიერი იყო, რომლის მემკვიდრეობა სათანადო შესწავლასა და გამომზეურებას მოითხოვს. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში მისი, როგორც კათოლიკე მღვდლის, სახელი ჩრდილში იყო მოქცეული და მხოლოდ ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერებისათვის იყო ცნობილი. არ ხდებოდა ივანე გვარამაძის ღვაწლის სათანადო დაფასება. 8 ნოემბერს ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში საზეიმოდ ჩატარდა ივანე გვარამაძისადმი მიძღვნილი რეს-პუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია..

კონფერენცია, რომელიც თურქეთში მოღვაწე ქართველი კათოლიკე მეცენატის პავლე ზაზაძის სახელობის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა, ერთგვარ სიმბოლურ ხიდს ავლებდა წარსულსა და თანამედროვეობას შორის.

ივანე გვარამაძის საიუბილეო კონფერეციის ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში გამართვის გამოცხადებიდან ერთი თვის მანძილზე, სანამ მიმდინარეობდა მონაწილეთა რეგისტრაცია, კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი ორმოცდაათმა პროფესორმა, დოქტორანტმა და სტუდენტმა გამოთქვა, მათ შორის იყო თერთმეტი მონაწილე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სასულიერო აკადემიიდან და მომხსენებელთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო.

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენცია, როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნული ტელეარხებითაც იყო გაშუქებული და სახელოვანი ქართველი კათოლიკე მამულიშვილის შესახებ ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვისაც გახდა მისაწვდომი. ვფიქრობ, კულტურის კომისიამ კი ამ მიმართებით კვლავაც უნდა წარმართოს თავისი ძალისხმევა, რათა საქართველოს გააცნოს კათოლიკე აღმსარებლობის გამოჩენილ მამულიშვილთა კულტურული მემკვიდრეობა. XIX საუკუნეში მესხეთში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რუსეთის იმპერიაში, ოსმალეთსა თუ საფრანგეთში მოღვაწე ათეულობით ქართველმა კათოლიკე მღვდელმა უდიდესი ამაგი დასდო ცარიზმის მიერ შევიწროებულ და ჩაგრულ ქართველ ერს, მათ კულტურასა და იდენტობას. რომ არა ქართველი კათოლიკეები, ეროვნული კულტურა ძალიან ბევრს დაკარგავდა, ასევე, მრავალი ასეული თუ ათასეული ეთნიკურად ქართველი შესაძლოა სხვა ეთნოსის წარმომადგენლად ქცეულიყო. ამ ადამიანების დაფასება, რომლებიც ცხოვრებაში მრავალი განსაცდელის, დევნის მომსწრენი იყვნენ (მრავალი მათგანი ვეღარც დაბრუნდა სამშობლოში), ჩვენს დროში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეროვნული თვითმყოფადობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში კვლავ აქტუალურად დგას დღის წესრიგში. კათოლიკე სამღვდელობის წარმომადგენლების პეტრე ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილის ცხოვრება კი სწორედ სამშობლოსათვის თავგანწირული მსახურების დამოწმებაა.

ნუგზარ ბარდაველიძე

კონფერენციის მონაწილენი

იოანე სალე

GAUDET MATER ECCLESIA

სიტყვა – წარმოთქმული ვატიკანის II კრების გახსნაზე

1962 წლის 11 ოქტომბერს, სამწლიანი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვატიკანის II კრება. ორი ათასზე მეტი ეპისკოპოსი ჩამოვიდა რომში დედამიწის ყველა კუთხიდან; ეკლესიის ისტორიაში არასოდეს ყოფილა ესოდენ მრავალრიცხოვანი შეკრება (კრებას, რომელიც ტრენტოში გაიხსნა, ოცდათერთმეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა, მათმა რიცხვმა სულ მალე ორასს მიაღწია; ვატიკანის I კრებაში დაახლოებით შვიდას ორმოცდაათი მღვდელმსახური მონაწილეობდა); ეპისკოპოსთა რიცხვი, რომლებიც კრების ოთხივე ეტაპში მონაწილეობდნენ (ან ერთ ნაწილში), 2.860-ს აღწევდა. ვატიკანის II კრება ნამდვილად საყოველთაო იყო. ეპისკოპოსები 116 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ: მსგავსი არაფერი მომხდარა, თვით საზოგადოებრივი ხასიათის შეხვედრებზეც კი. კრებაზე დამსწრე მამათა რიცხვი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: 1.060 – ევროპიდან, 408 – აზიიდან, 351 – აფრიკიდან, 1.030 – ამერიკის კონტინენტიდან (მათ შორის, 347 აშშ-დან და კანადიდან), 74 – ოკეანისპირეთიდან. ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეისა და ვიეტნამის ხელისუფლებამ იქ მოღვაწე ეპისკოპოსებს რომში წასვლა აუკრძალა. ევროპაშიც, ზოგიერთი კომუნისტური ქვეყნის მთავრობამ სირთულე შეუქმნა ეპისკოპოსებს კრებაში მონაწილეობის მიღებაზე. თუმცა, ქრისტიანთა ერთობის სამდივნოს მიერ განხორციელებულმა დიალოგმა და დაახლოების მცდელობამ საგრძნობლად გაზარდა კრების მონაწილეთა რიცხვი.

პაპი იოანე XXIII

კრების გახსნის ცერემონია, როგორც ვთქვით, საზეიმო და გრანდიოზული იყო. იგი მსოფლიოს ყველა წამყვანმა ტელეკომპანიამ გადაიღო. აი, როგორი რეპორტაჟი გააკეთა ერთ-ერთმა ტელეარხმა: „8.30 სთ-ზე, საზეიმო კიბეზე გრძელი კორტეჟი გამოჩნდა, რომელიც ბრინჯაოსფერი კარიდან გამოვიდა და მაშინვე მარჯვნივ, კორდონით გამაგრებული ცენტრისკენ გაემართა და ბაზილიკის ცენტრალური კარიბჭისაკენ აიღო გეზი. რიგში, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ექვსი მღვდელმსახური იდგა, პრიორიტეტის დაცვით: მთავარი აბატები, nullius, პრელატები, ეპისკოპოსები, მთავარეპისკოპოსები, პრიმატები, პატრიარქები და კარდინალები. ყველა რასის, რიტისა და ასაკის სასულიერო პირები (...). ისინი ნელ-ნელა მიუყვებოდნენ პროცესიას 45 წუთის მანძილზე. მათ მხარს უმაგრებდა კლერი, სეკულარული და რეგულარული, ძოწისფერ სამოსში გამოწყობილი, და ხალხის დიდი მასა, რომელთა რიცხვი ასი ათასს აღწევდა. ცა, ახლად ნაწვიმარზე, მოწმენდილიყო“. ამ გრძელ ამალას ნელი ნაბიჯით მიუძღოდა პაპი, რომელიც, – პონტიფიკის მდიდრული სამოსით შემოსილი, – ტახტრევანზე მჯდომარე, თავისი ამალით გარემოცული, საზეიმოდ მოსულ ხალხს კურთხევას უგზავნიდა. იოანე XXIII-მ, რომელიც „გარეგნულად მობილიზებული და აღელვებული“ ჩანდა, ბაზილიკაში შესვლისას, მოკლე ლოცვა წარმოთქვა და შემდეგ წამოიწყო Veni Creator. დაიწყო წირვა, რომელსაც კონფესიის საკურთხევლიდან კარდინალი ტისსერანტი (Tisserant) უძღვებოდა.

საზეიმო ევქარისტიულ წირვას კრებაში მონაწილე მამებმა, გამომდინარე ლიტურგიკაზე თავიანთი შეხედულებიდან, სხვადასხვაგვარი შეფასება მისცეს. მრავალი ეპისკოპოსი აღფრთოვანებული დარჩა და ენთუზიაზმით აღივსო ამ გრანდიოზული ღვთისმსახურებით, რომელიც, – როგორც ამბობდნენ, – ღამის ზეციური სუფრის საწინდარს დაემსგავსა, ხოლო არაიტალიელი პრელატები, რომელთათვისაც ძვირფასი იყო პიუს XII-ის ენციკლიკაში – „Mediator Dei“ ლიტურგიკის შესახებ მოცემული მითითებები (1947 წ. 20 ნოემბერი) და სავსებით იზიარებდნენ მის თეზისებს, მას უკიდურესად პომპეზურად, მძიმედ და, განსაკუთრებით, ანაქრონისტულად მიიჩნევდნენ.

წირვის დასრულების შემდეგ, მუშაობას შეუდგა კრების სესია. საზეიმო რიტუალის დასასრულს, პაპმა მკაფიოდ წაიკითხა საზეიმო მისასალმებელი სიტყვა ლათინურ ენაზე (ეს კრების ოფიციალური ენა გახლდათ), რაც ერთობ საგულისხმო სიტყვებით იწყება: Gaudet Mater ecclesia („ხარობს დედა-ეკლესია“) პაპის სიტყვა ნახევარი საათი გაგრძელდა და იქ დამსწრე პირებს მისი

მოსმენა უკვე დაღლილებს, ოდნავ ყურადღებაგაფანტულებსაც კი მოუწიათ. მხოლოდ მცირე ჯგუფმა თუ გაიაზრა პაპის სიტყვის ღრმა მნიშვნელობა. როგორც სამართლიანად იქნა აღნიშნული, ეს უშესანიშნავესი მოხსენება გახლდათ იოანეს პაპობის პერიოდში და, სავარაუდოდ, თანამედროვეთათვის კათოლიკე ეკლესიის ყველაზე სერიოზული აქტი.

იოანე XXIII ყოველთვის სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ეს სიტყვა „მისი ტომრიდან ამოღებული ფქვილი“ იყო და ამით ამაყობდა კიდეც. ტექსტში თავად მან გააკეთა შესწორებები. ზოგიერთ ავტორიტეტულ წყაროზე დაყრდნობით, პაპმა ამ სიტყვის მონახაზზე საგულდაგულოდ დაიწყო მუშაობა 1962 წლის ზაფხულიდან. ეს სიტყვა პაპის გულსა და გონებაში გზადაგზა მწიფდებოდა, ვიდრე საბოლოო ფორმა არ მიეცა და ამგვარად არ დასრულდა: „Gaudet Mater ecclesia“.

11 ოქტომბრის ეს მრავლისმეტყველი და წინასწარმეტყველური მისასალმებელი სიტყვა, მართალია, ახლად გახსნილ კრებას არანაირ „პროგრამას“ არ კარნახობდა, მაგრამ იგი არც ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული რიგითი სახის მოხსენება გახლდათ. მასში პაპმა ავტორიტეტული ფორმით გადმოსცა ზოგიერთი ის პრინციპი, რაზეც სამომავლოდ უნდა დაფიქრებულიყო. შესავალი სიტყვის საბოლოო რედაქცია, ზოგიერთი მოსაზრებით, ბოლო დღეებში დასრულდა, ვიდრე კრება გაიხსნებოდა, უფრო ზუსტად კი იმ სამოციქულო მომლოცველობამდე, რომელიც პაპმა განახორციელა ოქტომბრის დასაწყისში ლორეტოსა და ასიზში, რათა ღვთისმშობლისა და წმიდა ფრანცისკესთვის გამოეთხოვა წყალობა და მფარველობა კარს მომდგარი კრების გამო. Porta pia-ში მომხდარი ამბების შემდეგ, პაპმა პირველად გადადგა ნაბიჯი ლეონინეს გალავნის იქით, ანუ გამოვიდა ვატიკანიდან; ეს იყო ხანმოკლე მოგზაურობა მატარებლით; მთელ ამ მოგზაურობას თან სდევდა პაპის ერთგულ მორწმუნეთა ხალისიანი განწყობა. შესავალი სიტყვა 10 ოქტომბრის სხდომაზე დასრულდა, კრების ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს საბოლოო სახე მოკლე ხანში მიეცა, ვიცით (როგორც გადმოგვცემენ), რომ თვეების მანძილზე პაპის მთელი გონება მისით იყო დაკავებული. მან კარგად უწყოდა, რომ კრებაში მონაწილე მამები სულმოუთქმელად ელოდნენ ამ სიტყვას, რომელიც აუცილებელი მუხტი იქნებოდა კრების მძიმე სამუშაო პროცესში. ფაქტობრივად, პაპის შესავალი სიტყვა იყო ერთადერთი „გრძელი სიტყვა“, რომელიც იოანე XXIII-მ წარმოთქვა კრებაზე: საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარელად კრებაში მონაწილე მამები სწორედ პაპის ამ სიტყვას იშველიებდნენ და კრების კომისიებისგან ითხოვდნენ პასტორალურ, უფრო „კვალიფიციურ“, წმიდა წერილთან უფრო დაახლოებულ სქემებს.

ყველაფერი ის, რაც ამ თვეებში ხდებოდა, განსაკუთრებით კრების რთული ორგანიზება, პაპისთვის მეორეხარისხოვანი გახლდათ. ეს ჩანს კიდეც მისი ნაკლები ენთუზიაზმიდან და Ordo Conciliis დაჩქარებული მიღებიდან, ანუ იმ რეგლამენტიდან, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებდა ვატიკანის I კრების რეგლამენტს; ასევე იმ ფორმიდან, რითაც მან დაიწუნა პირველი კრების სქემები (სულ შვიდი სქემა, მათგან ხუთი მომზადდა თეოლოგიური კომისიის მიერ), რომელიც მამებისათვის უნდა გადაეგზავნათ. ყოველივე ამან პირველ ხანებში ეჭვები წარმოშვა მათ საეკლესიო ხასიათზე. რეალურად, ზოგიერთი მის ინტერპრეტირებას ისე ახდენდა, როგორც პაპის მიერ იქნა „აპრობირებული“, ამიტომაც, გარკვეულწილად, მათ შეუცვლელად მიიჩნევდნენ, რასაც იოანე XXIII არ იზიარებდა. როგორც თავად აცხადებდა, მას სულაც არ სურდა კრების თავისუფლების შეზღუდვა, პირიქით, უნდოდა, რომ მამებს „თავად ეპოვნათ სწორი გზა“.

მისასალმებელი სიტყვის შინაარსი

მისასალმებელი სიტყვის პირველ ნაწილში პაპმა კრების ხასიათზე, მის მიზანზე და იმ ახალ „სასიკეთო ძვრებზე“ ისაუბრა, რასაც იგი ეკლესიას მოუტანდა. პაპი იმთავითვე აზუსტებდა, რომ კრების მოწვევით მან, პირველ რიგში, განიზრახა „კიდევ ერთხელ განეცხადებინა საეკლესიო სწავლების უწყვეტობა და გამორჩეული გზით ეჩვენებინა ეს ჩვენი დროის ყველა ადამიანისთვის“. კრების მუშაობის შუაგული და ცენტრი, როგორც მან აღნიშნა, იყო თავად ქრისტე, – „კაცთა ისტორიისა და ცხოვრების ცენტრში გასხივოსნებული“. ამ კრებისგან პაპი ბევრ სიკეთეს მოელოდა ეკლესიისთვის, როგორც ეს წარსულის სხვა კრებების შემთხვევაში გახლდათ. „კრებით გასხივოსნებული ეკლესია, – აღნიშნა მან, – ჩვენი ურყევი იმედიდან გამომდინარე, სულიერი სიგანძურით აღივსება და ახალ-ახალ ენერგიას შეიძენს, მომავალს მშვიდი თვალებით შეხედავს. სათანადო სიახლეებითა და გონივრული თანამშრომლობის წყალობით, ეკლესია შეძლებს, რომ ადამიანები, ოჯახები, ერები ნამდვილად ელტვოდნენ ზეციურს“.

ამგვარ მოსაზრებაზე დაყრდნობით, პაპი შორს იდგა ისტორიისა და თანამედროვე საზოგადოების პესიმისტური შეფასებიდან, – რაც წარსულში ნანილობრივ ახასიათებდა კათოლიკურ კულტურას, – იგი უარყოფდა ე.წ. „შიშისა და ეჭვის კულტურას“, რაც ზოგჯერ ეკლესიას, – იმისათვის, რომ საკუთარი ჭეშმარიტება შესაძლო შემლახველი ფაქტებისგან დაეცვა, – უბიძგებდა, ცოტათი მოძველებული არჩევანი გაეკეთებინა. პაპი გმობდა სასულიერო პირების ასეთ პესიმისტურ ნაბიჯებს: „ჩვენს ყოველდღიურ მსახურებაში ამგვარი რჩევა-დარიგებებით ყურებს გვიჭედავენ ისეთი ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად მათი გულმოდგინებისა, საკმაოდ მოკლებულნი არიან ზომიერებისა და თავშეკავების გრძნობას. ამ დროში ისინი მხოლოდ გზიდან აცდენას და განადგურებას ხედავენ; გამუდმებით გვიკიჟინებენ, რომ ჩვენი ჟამი, წარსულთან შედარებით, უარესდება; და ისე იქცევიან, თითქოს არც არაფერი უსწავლიათ ისტორიის გაკვეთილებიდან (...), ვფიქრობთ, უნდა განვუდგეთ ამ უბედურების მაუწყებლებს, რამეთუ ამ საშინელი მოვლენების წინასწარმეტყველებით თვით სამყაროს აღსასრულსაც კი მოასწავებენ“. პაპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „კონკრეტულ ისტორიულ მომენტში ზეციური განგება ახალ ურთიერთობებს გვიმზადებს, რაც, ადამიანთა ნამოქმედარისა და მათი მოლოდინებისგან დამოუკიდებლად, ამაღლებული და მოულოდნელი ჩანაფიქრების სისრულეში მოყვანისკენ არის გამიზნული“.

როდესაც კრების თემას უბრუნდება, პაპი მკაფიოდ საუბრობს თავისუფლებაზე. „ეკლესია, – აღნიშნა მან, – როგორც იქნა, დღეს აღარ წარმოადგენს პროფანული ხასიათის დაბრკოლების ობიექტს“, რაც ხშირად აფერხებდა, პოლიტიკური გათვლით, მის ნამდვილ განახლებას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პაპისთვის, რომ საჯაროდ დაეგმო, – როგორც მრავალი ელოდა კიდეც კრებაზე, – ის რეჟიმი, მეტადრე კომუნისტური, რომლებმაც თავიანთ ეპისკოპოსებს რომში ჩასვლა აუკრძალეს. „გთხოვთ, – განაცხადა პონტიფექსმა, – ღრმად გაიზიაროთ მწუხარება, რის გამოც ჩვენთვის ძვირფასი მრავალი ეპისკოპოსი დღეს ძლიერ განიცდის კრებაზე არყოფნას, რამეთუ ისინი ქრისტესადმი რწმენის გამო არიან დატყვევებულნი, ან სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს აწყდებიან: მათი გახსენება ჩვენ კიდევ ერთხელ გვაგულიანებს ღვთისადმი მხურვალე ლოცვისთვის“.

მისასალმებელი სიტყვის მეორე ნაწილი ზოგიერთ იმ არსებით საკითხს ეხებოდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პაპისთვის და, რაც თავიდანვე გეზს აძლევდა კრების მუშაობას. რაც შეეხება depositium fidei-ს, პაპმა განაცხადა, რომ კრების ერთ-ერთი მიზანი გახლდათ „ქრისტიანული სწავლების ხელშეუხებლად და სრული სახით გადაცემა, არანაირი შემოკლებით, ან დამახინჯებით“. „ჩვენი მოვალეობაა, – განაცხადა პაპმა, – არა მხოლოდ ამ ფასდაუდებელი განძის დაცვა, მისი ანტიკურობიდან გამომდინარე, არამედ მგზნებარედ და უშიშრად უნდა მივუძღვნათ თავი იმ სამუშაოს, რასაც ჩვენი ეპოქა ითხოვს, გავყვეთ იმ გზას, რასაც ეკლესია, აგერ უკვე ოცი საუკუნეა, მიუყვება“. „დღეს, – დასძენს პაპი, – საჭიროა „წინ გადაიდგას ნაბიჯი“, განვითარდეს „ავთენტური სწავლება“ და, „თანამედროვე აზროვნების, ლიტერატურული ფორმულირებისა და კვლევითი ფორმების მეშვეობით“, მოხდეს მისი ექსპოზიცია. ამასთან დაკავშირებით, ის შემდეგს აცხადებს: „ერთია თავად რწმენის საგანძური, ანუ ჩვენს დოქტრინაში მოცემული ჭეშმარიტება და მეორეა ფორმა, რითაც მათ ვაუწყებთ, და იქვე შევინარჩუნებთ იმავე აზრს და იმავე მნიშვნელობას... ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენების იმგვარ ფორმას, რაც სრულიად შეესაბამება სასულიერო ხელისუფლებას, რომელსაც, უპირველესად, სამწყსო ხასიათი აქვს“.

სწორედ ეს არის პაპის სიტყვის ცენტრალური ნაწილი. იგი ჩინებულ მითითებებს აძლევს კრებაზე მყოფ მამებს: კრებას უნდა მოეხდინა დოქტრინის რეფორმულაცია თანამედროვე ენაზე, ანუ განახლება, და ყველაფრის გათვალისწინება უნდა მომხდარიყო პასტორალური ჭრილიდან. პაპი ასევე გამოთქვამდა სურვილს, რომ ახლებურად მოკიდებოდნენ რწმენის საკითხს, უფრო მეტად გაემახვილებინათ ყურადღება მოსმენასა და გულმოწყალებაზე, ვიდრე გმობასა და ანათემაზე: „აწ, ქრისტეს სასძლოს ურჩევნია გულმოწყალების მალამო სცხოს, ვიდრე სიმკაცრის. იგი საჭიროდ თვლის თანამედროვე საჭიროებების გაგებას, რამდენდაც აჩვენებს თავისი სწავლების ჭეშმარიტებას, და არა განკიცხვების განახლებას“. ამ მოსაზრების გვერდით, პაპი წინ წამოსწევს ასევე „კრების საუბრების სტილის“ დელიკატურ საკითხს, რომელიც, წარსულის მსგავსად, უნდა იყოს არა ნორმატიული, დეფინიციური და დოქტრინალური, არამედ „უწინარესად პასტორალური“, რადგანაც კრების მეშვეობით ეკლესიას „სურდა ეჩვენებინა თავისი სახე, როგორც მოსიყვარულე დედისა, კეთილი, მომთმენი, მოწყალებითა და სიკეთით სავსე, თვით მისგან გამდგარი შვილების მიმართ“.

ამის შემდეგ, თავის მისასალმებელ სიტყვაში, პაპმა ქრისტიანთა ერთიანობაზე ისაუბრა, ეს იყო თემა, რომელიც იმ დღეებში დიდ იმედებს უსახავდა გაყოფილ ქრისტიანებს. ეს პაპისათვის ახლობელი თემა გახლდათ და თავიდანვე მიანიშნებდა მას ეკუმენური კრების აუცილებლობაზე. იოანე XXIII ხაზგასმით აღნიშნავდა ერთიანობის საიდუმლოს გასამმაგებულ ხასიათს: ერთიანობა თავად კათოლიკეთა შორის, „რაც სანიმუშოდ შეურყეველი უნდა იყოს“; ერთიანობა გაყოფილ ქრისტიანთა შორის, „რომლებიც ელტვიან ჩვენთან ერთიანობას“; და ერთიანობა ყველა მათგანთან, რომლებიც მისდევენ არაქრისტიანულ რელიგიებს, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან კათოლიკე ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ ტექსტში ვერსად შეხვდებით არაკათოლიკეთა მიმართ საყვედურს, სქიზმატებად და ერეტიკოსებად მათ სახელდებას, პირიქით, პაპი მათ მოიხსენიებს ერთობაში მოხმობილ ქრისტიანებად; აქვე ნათქვამია, რომ კათოლიკე ეკლესიის ვალია, „აქტიურად იმოღვაწეოს, რათა სისრულეში მოვიდეს იმ ერთობის დიდი საიდუმლო, რაზეც ასე მგზნებარედ ევედრებოდა იესო ქრისტე ზეციურ მამას საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის მოლოდინში“.

გარდა იმისა, რომ პაპი თავის სიტყვაში კრების მამებისაგან მოითხოვდა თანამედროვე სამყაროში ქრისტიანული რწმენის ინკულტურაციას, იგი ასევე ინვევდა

მათ, ყოფილიყვნენ კრების მთავარი გმირები, ნამდვილი პროტაგონისტები (მთავარი როლის შემსრულებელნი) და თავიანთი მოღვაწეობით ამა თუ იმ კომისებსა და დიალოგში ყველასთვის ეჩვენებინათ კრების „განახლებული“ სახე. Gaudet Mater Ecclesia -თი პაპმა პირველადი მნიშვნელობის აქტი დაუდო კრებაზე თავმოყრილ ეპისკოპოსებს. მან ამით აჩვენა არა „სუვერენული ნება“, არამედ ძმობით აღსავსე სულმა უკარნახა კრების მამებს ის მიმართულება, რისკენაც მათ უნდა გადაედგათ ნაბიჯები. 1962 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებულ თავის დღიურში პაპი აღნიშნავს იმ „დიდ სიხარულს“, რაც მას კრების გახსნამ მიანიჭა. ეს იყო ღირსსახსოვარი, შთამბეჭდავი, დიდი სიხარულით და ღამეული ჩირაღდნებით გალამაზებული მოვლენა, რაც რომაელმა ახალგაზდებმა მოამზადეს მის სამადლობელოდ; მოვლენა, რომელმაც მას საშუალება მისცა, გამოეთქვა უბრალო და ბრძნული აზრები (ცნობილი „მთვარის საუბარი“), რამაც, ტელევიზიით გადაცემისას, უამრავი კეთილი ნების ადამიანის გული მონუსხა.

კომენტარები პაპის სიტყვის შესახებ

იოანე XXIII-ის მისასალმებელი სიტყვა მომდევნო დღეებში მრავალჯერ გაიმეორა საერთაშორისო მასმედიამ და არაერთგზის გაკეთდა მასზე პოზიტიური კომენტარები, და დიდი ენთუზიაზმითაც. თავად კომენტარების ავტორები და გამომცემლები, ალბათ, ვატიკანის ბაზილიკაში მყოფ მამებზე უფრო მეტადაც აცნობიერებდნენ, რომ პაპის მიმართვა არ იყო მოვლენასთან დაკავშირებული უბრალო საუბარი, არამედ იგი ეხებოდა ღრმად მნიშვნელოვან საკითხებს, რაც ახალ აზრს მიანიჭებდა ეკლესიის არსებობას თანამედროვე საზოგადოებაში. ასე დაჰქროდა კრების მიერ მონაბერი სიო მთელ მსოფლიოში და ყველგან მიჰქონდა ხალხთა შორის მშვიდობისა და შემრიგებლობის ეს იმედიანი მესიჯი.

იტალიაში, მხოლოდ მემარცხენე ბეჭდურმა მედიამ, – მიუხედავად მოვლენისადმი პატივისცემით განწყობისა, – მოახდინა პაპის ამ სიტყვის მანიპულირება და იგი იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას მოარგო. იტალიის ყოველდღიური კომუნისტური გაზეთი „L'Unita'“ (ერთობა) ეჭვებს გამოთქვამდა, რომ, მიუხედავად პაპის მიერ ცვლილებისაკენ მოწოდებისა, კათოლიკე ეკლესია, განსაკუთრებით იტალიაში, გათავისუფლდებოდა „უახლესი წარსულის ფსევდო იპოთეკებისაგან“. განსხვავებული ტონი იგრძნობოდა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთში Popolo, სადაც გადაჭარბებული რიტორიკის გარეშე აჩვენებდნენ თავიანთ აღფრთოვანებას პაპის სიტყვისადმი: „გვჯერა, რომ ფრიად მნიშვნელოვანია, კათოლიკე ეკლესიამ თავისი უზენაესი მწყემსის პირით განაცხადოს, რომ თანამედროვე სამყაროს კი არ უნდა ვდევნიდეთ, არამედ უნდა ვათავისუფლებდეთ, ანუ უნდა გვიყვარდეს (...). პაპმა მთელი სიცხადით გაიმეორა, რომ კარს მომდგარი კრების თემას წარმოადგენს პასტორალური პრობლემა, ანუ აპოსტოლატის, კონფრონტაციის და იდეების გამარჯვების პრობლემა; მშვიდობიანი მონაპოვრების პრობლემა, ანუ თავად ერთიანობისა“.

საერთაშორისო ბეჭდურმა მედიამაც, რომელიც არცთუ იშვიათად იყო დაკავებული პაპის პოზიციის კრიტიკით, აღფრთოვანებით შეაფასა პაპის ეს სიტყვა. Le Monde წერდა, რომ იგი აჩვენებდა „ეკლესიაში სრულიად ახალ მენტალიტეტს და ახალი პაპის ინდივიდუალურობის ნიშანს“, პაპი „ამჯობინებს, მიმართოს გულმოწყალების იარაღს, ნაცვლად სისასტიკისა, და ურჩევნია, თავიდან აიცილოს განკიცხვები“. Les Echos წერდა, რომ „იოანე XXIII-მ თავისი სიტყვით მიმართა არა მხოლოდ ხუთას ორმოცდაათ მილიონ კათოლიკეს, არამედ მან მთელ კაცობრიობას გამოუკვეთა ხსნის გზა: შემრიგებლობისა და არა სხვაზე გამარჯვების გზა“. გერმანულენოვანი გაზეთები ენთუზიაზმით საუბრობდნენ კრების პასტორალურ ხასიათზე, ახმიანებდნენ პროგრესულად მოაზროვნე ღვთისმეტყველთა აზრებს. Frankfurter Allgemeine დიდად აფასებდა რომის ეკლესიის ამ მოულოდნელ გახსნილობას გაყოფილი ძმების მიმართ და ირონიული ტონით წერდა: „ოთხმოცი წლის პაპს ოპტიმიზმი ჯერაც არ დაუკარგავს“. ინგლისურენოვანი გაზეთები პაპის სიტყვას ზოგადად მხურვალე კომენტარებს უძღვნიდნენ, თუმცა არ უღრმავდებოდნენ მასში მოყვანილ თემებს. მრავლისმეტყველი იყო კომენტარი, რაც გაკეთდა კრების „მოვლენაზე“ ერთ ესპანურ გაზეთში, ბილბაოს La Gaceta del Norte, სადაც ხაზი გაუსვეს კრების პირველ დღეს გამეფებულ მშვიდ ატმოსფეროს: „ეკლესიას, – წერდა გამომცემელი, – სიხარულის ჟამი უდგას, იმ აუღელვებელი სიმშვიდით ცხოვრობს, რასაც, როგორც არავინ მსოფლიოში, ისე ფლობს იოანე XXIII“.

ასეთი ოპტიმისტური ნიშნით გაიხსნა კრება, აქვე, არც სიფრთხილე იქნა დავიწყებული, რასაც კარგად ითვალისწინებდა იოანე XXIII-ის გამჭრიახი გონება. ეკლესია, თავის მხრივ, მოვალედ თვლიდა თავს, რომ თანამედროვე მსოფლიოს მიმართ ყოფილიყო კეთილგანწყობილი და არა სასტიკი, – თუმცა არც ცოდვისა და მანკიერებების გმობას ივიწყებდა, – სურდა, მასთან გულახდილ დიალოგში შესულიყო. კრების მოწვევით, იოანე XXIII-ს სრულიად გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კათოლიკე ეკლესია სწორ გზაზე დააყენა და „სულიწმიდის ეს საქმე“ კვლავაც გაგრძელდებოდა და სისრულეში მოვიდოდა მისი მემკვიდრის მიერ; და ასეც მოხდა სინამდვილეში.

ოჯახი ყველა ბავშვისთვის

საქართველოში ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის მიზანია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მიუსაფარი ბავშვების ზრდისა და განვითარებისათვის უკეთესი სოციალური პირობების შექმნა. საქართველოს მთავრობის პროირიტეტს წარმოადგენს დეინსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს ბავშვთა დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების გადაყვანას მცირე ზომის ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში და ბავშვთა სახლების ეტაპობრივ ჩანაცვლებას ალტერნატიული სერვისებით.

რეფორმის შედეგად, დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა შემცირდა 4000–დან 250–მდე. გასული 12 თვის განმავლობაში დიდი ზომის ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების დაახლოებით 33% საკუთარ ოჯახებში დაბრუნდა. ასევე გაფართოვდა მინდობით აღზრდის სისტემა, სადაც უკვე შვიდასზე მეტი ბავშვია განთავსებული. იმ ბავშვებისთვის, რომელთა საკუთარ ოჯახებში დაბრუნება შეუძლებელი იყო, შეიქმნა **მცირე საოჯახო ტიპის სახლები.** აქ შესაძლებელია ბავშვებზე ზრუნვა 24 საათის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 42 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, რომელთაც მართავს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. საქართველოში ამჟამად გამოიყენება მცირე საოჯახო ტიპის სახლების მუშაობის ორი მოდელი. პირველი მოდელია ე.წ. ბრიტანული მოდელი, რომელიც გულისხმობს ამ ტიპის სახლში მაქსიმუმ რვა აღსაზრდელს, რომლებთანაც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მუშაობს წყვილი აღმზრდელი, ე.წ. „დედობილ-მამობილი“, ხოლო შაბათ-კვირას ძირითად წყვილს ანაცვლებს მეორე წყვილი. მეორე მოდელია ე.წ. პოლონური მოდელი, რომელიც გულისხმობს მცირე საოჯახო სახლში მაქსიმუმ ათ აღსაზრდელს, სადაც კვირის განმავლობაში მორიგეობით მუშაობს ხუთი აღმზრდელი.

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, **ა.ი.პ. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასთან“** მჭიდრო თანამშრომლობით. საქართველოში, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ფეხდაფეხ, „საქართველოს კარიტასმა“ 2009 წელს შექმნა პირველი მცირე საოჯახო ტიპის სახლი.

2011 წელს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საქართველოს კარიტასმა“ მოიპოვა უფლება ქ. თბილისში ორი მცირე საოჯახო ტიპის სახლის მართვაზე 10 წლიანი ხელშეკრულებით. შედეგად, „საქართველოს კარიტასს“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსგან, უზურფრუქტის ხელშეკრულებით, ქ. თბილისში გადაეცა უძრავი ქონება მცირე საოჯახო ტიპის სახლების ფუნქციონირებისთვის (სოფ. გლდანში და ნაძალადევის რაიონში, ბეჟანიშვილის ქუჩაზე).

2012 წლის სექტემბერში, ბავშვზე ზრუნვის ახალი სტანდარტების შესაბამისად, (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2012 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებული ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები; ბრძანება №01-5 9/ ნ), „საქართველოს კარიტასმა“ მოახდინა ბავშვთა ლიცენზირებული თავშესაფრის – „ჩვენი სახლის“ რეორგანიზაცია და მის ბაზაზე შეიქმნა მცირე საოჯახო ტიპის სახლი.

ამრიგად, ამჟამად „საქართველოს კარიტასი“ მართავს 5 მცირე საოჯახო ტიპის სახლს, მათ შორის, 3 სახლი ფუნქციონირებს „საქ. კარიტასის“ საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, ერისთავის ქ. #2–ში), რომელიც, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, მაქსიმალურადაა მიახლოებული ოჯახურ გარემოსთან.

ამავდროულად, პარტნიორი ორგანიზაციის „იტალია-საქართველო“-ს მხარდაჭერით, „საქ. კარიტასმა“ შეიძინა უძრავი ქონება გარდაბნის რ-ნის სოფ. მარტყოფში. ამჟამად, „გერმანიის კარიტასი“-ს მხარდაჭერით, მიმდინარეობს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდგომ დაგეგმილია მცირე საოჯახო ტიპის სახლის ფუნქციონირება, რომელიც იქნება ინტეგრირებული და მომსახურება როგორც ჯანმრთელ, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვის ჩარიცხვა ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილებით. ყოველ ჩარიცხულ ბავშვზე გაიცემა ვაუჩერი, რომელიც მოიცავს ბავშვზე დღეში 15 ლა-

რიან დაფინანსებას და სამედიცინო დაზღვევას. ამჟამად, სახელმწიფო დაფინანსება მცირე საოჯახო ტიპის სახლების საჭიროების მხოლოდ 70-80%-ს ფარავს.

„საქართველოს კარიტასი“ ხუთივე მცირე საოჯახო სახლს მართავს ე.წ. პოლონური მოდელით. თითოეული ეს სახლი ემსახურება 6-დან 18 წლამდე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ათ ბავშვს (თუ ბავშვს შეუსრულდა 18 წელი, მაგრამ ჯერ კიდევ სწავლობს საჯარო სკოლაში, მზრუნველობის ქვეშ იქნება სკოლის დამთავრებამდე). თითოეულ მცირე საოჯახო სახლში მუშაობს ხუთი თანამშრომელი: ერთი ლიდერი და ოთხი აღმზრდელი. მცირე საოჯახო სახლს არ ჰყავს ტექნიკური პერსონალი. ბავშვები, აღმზრდელებთან ერთად, ჩართულნი არიან სახლის ყოველდღიურ საქმიანობაში. მცირე საოჯახო სახლის ყოველდღიური ცხოვრება წარიმართება დადგენილი წესების მიხედვით, რომელთა შედგენაში თანაბარი უფლებით მონაწილეობას იღებენ როგორც აღმზრდელები, აგრეთვე აღსაზრდელები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვების მხრიდან ნაკლებად ირღვევა წესები, რომელთა შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა თავად აქვთ მიღებული. ყოველდღიური საქმიანობის განაწილების პროცესში ბავშვები, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თანაბარი უფლებით არიან ჩართულნი. მათი სურვილებისა და საერთო აზრის გათვალისწინებით ხდება ყოველდღიური საქმიანობის დაგემვა.

თითოეულ ბავშვზე შექმნილია პერსონალური ფაილები (საჭიროების შემთხვევაში, კონფიდენციალურობა დაცულია) და მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური მომსახურების გეგმის მიხედვით.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყველა აღმზრდელს გავლილი აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შემუშავებული სატრენინგო კურსი, რომელსაც უძღვება პოლონური ასოციაცია „ჩვენი სახლი“ და ყველა მათგანს აქვს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

მცირე საოჯახო სახლების მუშაობის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ბავშვთან და ოჯახთან მუშაობის ინდივიდუალური მეთოდი.

აღმზრდელი, ბავშვთან და ოჯახთან მუშაობისას, სახავს შემდეგ **პრიორიტეტებს:** რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში; გადაყვანა მიმღებ ოჯახში და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. კერძოდ, თუ ბავშვის ოჯახი კეთილსაიმედოა, სოციალური მომსახურების სააგენტო ზრუნავს მის გაძლიერებაზე, რათა ბავშვი დაუბრუნდეს ოჯახურ კერას. თუ ოჯახში ბავშვის დაბრუნება ვერ ხერხდება გარკვეული პრობლემების გამო, ხდება მიმღები ოჯახის მოძიება, რომელიც ბავშვს მზრუნველობას გაუწევს. თუ ვერ ხერხდება ბავშვის რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში და გადაყვანა მიმღებ ოჯახში, მცირე საოჯახო ტიპის სახლის მთავარ ამოცანად რჩება ბავშვის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რათა მან შეძლოს თავის რჩენა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, მას შემდეგ, რაც სრულწლოვან ასაკს მიაღწევს და მოუწევს მცირე საოჯახო სახლის დატოვება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლის მთავარი ამოცანაა მშობლების მზრუვნველობას მოკლებული ბავშვების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას.

თამარ შარაშიძე
„საქართველოს კარიტასი“-ს
ბავშვთა პროგრამის მენეჯერი

მოხალისეთა ფორუმი – 2012“

მოხალისეობა, ზოგადად, განიხილება, როგორც ალტრუისტული საქმიანობა, რომლის მიზანი სიკეთის წახალისება და ადამიანთა ცხოვრების გალამაზებაა. ის საზოგადოებრივი მსახურებაა, მიუხედავად შესაძლებლობების, პიროვნული უნარებისა თუ განათლებისა. მოხალისესთვის კი შრომის საზღაური, ნაცვლად ფულისა, არის საკუთარი პიროვნების, როგორც ღირებულის, საჭიროს განცდა.

ევროპაში უკვე კარგად აპრობირებული და ფესვგადგმული „მოხალისეობა“ დიდ წარმატებებს აღწევს. იტალიის მოსახლეობის 5% მოხალისეობითაა დაკავებული, მათგან 3% მუდმივი მოხალისეა. სხვადასხვა ქვეყნებიდან მოხალისეთა კოორდინირებას ახდენენ ისეთი არაკომერციული ორგანიზაციები, როგორიცაა UNV (United Nations Volunteer), United Planet და ა.შ. ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ახლა იკიდებს ფეხს მოხალისეობა, როგორც სტრუქტურიზებული ფორმა. ამიტომაც ყოველ ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი, გაალამაზოს ის გარემო, სადაც ცხოვრობს, აქვს ხალისი, იმუშაოს, რათა დაეხმაროს სხვებს, ვთავაზობთ, გახდეს მოხალისე.

საქართველოში, სოციალურ–პასტორალური დეპარტამენტის, „კარიტასის“ მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოხალისეობის განვითარება. სწორედ მისი ორგანიზებით, 28–30 სექტემბერს, წეროვანში ჩატარდა მოხალისეთა ფორუმი, რომელიც წარმოადგენდა მთელი განვლილი წლის ერთგვარ შეჯამებას და რომელზედაც შემუშავდა მომავალი წლის გეგმები. ფორუმის მსვლელობის დროს, მოხდა უკვე განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია, საუკეთესო მოხალისეობრივი ფოტოსა და წლის მოხალისის გამოვლენა. მოცემულ ფორუმზე ძირითადად მოპატიჟებულთა და მონაწილეთა შორის იყვნენ ისინი, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას მთელი წლის განმავლობაში მოხალისეობრივ საქმიანობაში: აწყობდნენ ბანაკებს და მუშაობდნენ საგანმანათლებლო თუ სხვა მიმართულებით; იღებდნენ მონაწილეობას აქციაში „ცხელი წვნიანი უსახლკაროთათვის“; ეწვივნენ ბავშვთა სახლს საბავშვო სპექტაკლით და მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მრევლის მიერ შეგროვებული მწირი დახმარებით (პამპერსი, კოლგოტი, სველი ხელსახოცი...).

ფორუმის განმავლობაში, ვცდილობდით, პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვაზე: „თუ მოხალისე ხარ, რატომ?“ პასუხი

კი თითოეული მოხალისესთვის ალბათ იყო სწორედ საკუთარი გამოცდილება, მოხალისეობრივი საქმიანობის მიერ შეტანილი წვლილი მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ფორუმში მონაწილეობდნენ მოხალისეები, როგორც საქართველოდან, ასევე აზერბაიჯანიდან და იტალიიდან.

პირველ დღეს „კარიტასის“ დირექტორის, მამა კშიშტოვ გუსტავ კოვალის ერთობ დამაფიქრებელი და მხიარული პრეზენტაცია მოვისმინეთ, რომელიც ზოგადად მოხალისეობასა და კამჩატკაზე მოხალისეთა საქმიანობაზე მოგვითხრობდა. შედეგად, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ „მოხალისეობა“ და „საჭიროება“ მუდამ ერთად არსებული ცნებებია, ეს არის საჭიროება სხვისთვის და ჩემთვის, ხოლო „კარიტასი“ – იარაღი, ხელი, რომელიც მოქმედებს უფლის ნებით, მოხალისეებთან ერთად. მოხალისეთა პრეზენტაციები ეხებოდა სამუშაო და საგანმანათლებლო ბანაკებს, სხვადასხვა სოციალურ პროექტებს. საუკეთესო ფოტო კენჭისყრის გზით შეირჩა და გამარჯვება ბელა კოსტანოვამ მოიპოვა. მეორე ადგილი კი მამა იეჟი პილუსის ფოტოს ერგო. კენჭისყრის გზითვე მოხდა წლის მოხალისის გამოვლენა, რომელზედაც წარდგენილნი იყვნენ: ლელა მახარაძე, ვასიკო ბალიაშვილი, ნანიკო მუგასაშვილი, კახა კალაიჯიშვილი, სოფო გოზალიშვილი, ადამი პოლონეთიდან. წლის მოხალისე კი გახდა სოფო გოზალიშვილი. გამარჯვებულსა და ყველა წარდგენილ კანდიდატს გადაეცა საჩუქრები, რომლებიც მომავალ მოხალისეობრივ საქმიანობაში სტიმულის მიმცემი იქნება.

მოხალისეთა ფორუმის მეორე დღეს, საღამოს, ერთობლივი ლოცვისათვის შევიკრიბეთ. ლოცვა ის მომენტია, როდესაც ცხადად შეიგრძნობ ადამიანთა ერთიანობას, რადგანაც ამ დროს ურთიერთობა მყარდება მამასთან, რომელიც ერთია ყველასათვის. სხვადასხვა ენაზე შესრულებულმა გალობებმა და ანთებულმა სანთლებმა უფრო მეტად პოზიტიური გარემო შექმნა, საღამო კი სასიამოვნო ემოციებით დასრულდა.

ცნობილი ფრაზაა: „მოხალისეებს არ უხდიან ხელფასს, – არა იმიტომ, რომ ისინი არ იმსახურებენ ამას, არამედ იმიტომ, რომ მათი საქმე შეუფასებელია.“ ბევრისთვის ალბათ ეს იდეა მიუღებელია, რადგან სამუშაოს, რომელსაც მოხალისე ასრულებს, საქმის სპეციალისტი უკეთესად გაუძღვებოდა. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი ფაქტი, რომლის მხედველობაში მიღება აუცილებელია მსგავს საკითხებზე მსჯელობისას. მოხალისეთა სამუშაოს აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ის ურთიერთობები, რომელსაც ისინი ამყარებენ საზოგადოებასთან თავიანთი საქმიანობის პროცესში, ამიტომაც მათ მიერ გაღებული სიყვარული და ყურადღებაა სწორედ შეუფასებელი.

ჩვენ გვეწვია ეპისკოპოსი და გვითხრა, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა სამყაროს ცენტრად. ღმერთის გული ადამიანია. იესო ღმერთია და, ამავე დროს, ადამიანი, ამიტომ ჩვენი საქმიანობაც უნდა იყოს ღვთაებრივი და, ამავე დროს, ადამიანური...; ჩვენ უნდა ვამახვილებდეთ ყურადღებას იმაზე, თუ როგორ ვაკეთებთ ამა თუ იმ საქმეს, მის ხარისხზე და არა მხოლოდ ნომენკლატურულ ჩამონათვალზე, მაგალითად: შევღებეთ, ავაშენეთ, ვაჭამეთ და ა. შ. რა გულით გავაკეთეთ ეს?! იესოს არ ჰქონდა ხელფასი...

მამა მარტინმა (სლოვაკელმა მღვდელმა აზებაიჯანიდან) თავის საკვირაო ქადაგებაში ისაუბრა იმაზე, რომ ბევრი აკეთებს სიკეთეს და აკეთებს განსხვავებულად. იესო სახარებაში მოგვიწოდებს, მივიღოთ ეს განსხვავებულობა, ვეძიოთ არსი და არა ფორმა. ზოგადად, სიკეთეს ეკუმენური ქარიზმა აქვს. ყველა მრწამსის ადამიანს ძალუძს აკეთოს სიკეთე და იყოს საჭირო: „რაც გაუკეთეთ ერთს, ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათ. 25:40). იტვირთეთ ერთმანეთის ტვირთი. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვიტვირთოთ ხალისით, უანგაროდ ის, რასაც კაცობრიობა ტვირთად თვლის: ავადმყოფობა, უმწეობა, მარტოობა, იმედგაცრუება... რაოდენ ფაქიზია მისია, იყო ვიღაცისთვის საჭირო, ხშირ შემთხვევაში – აუცილებელი; წამოაყენო, ბიძგი მისცე და იარო მასთან ერთად. ყოველივე ამის გაკეთება რთულია, თუ არ ვიქნებით თავმდაბალნი, ხალისიანნი და კომუნიკაბელურნი, ანუ თუ არ გვექნება მოხალისესთვის აუცილებელი ეს სამი ძირითადი მახასიათებელი.

გაერთიანებული ვართ იმ დიდი სურვილით, რომ ვთესოთ სიკეთე, სადაც საჭიროება მოითხოვს; ამის გაკეთება ორგანიზატორის გარეშე რთულია, ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელი. ამიტომ მამა იეჟის შევცქერი და ვფიქრობ, რა კარგია, რომ არის და ფიქრობს ვოლონტარიატზე საქართველოში, პასუხისმგებლობით და კრეატიულად უდგება ამ მისიას. მადლობა მამა იეჟის, მადლობა მარისა და ინგას, ასე რომ ეხმარებიან მას და გვერდში უდგანან.

ლელა მახარაძე
კახა კალაიჯიშვილი
სოფიო გოზალიშვილი

“აირჩიე სიცოცხლე!”

„ინერ-ჯორჯიას“ თანამშრომლებს და, განსაკუთრებით, სუორა ანა მარიას ძალიან გვაწუხებს ის ფაქტი, რომ ჩვენი არაჩვეულებრივი საგამოფენო ექსპონატი – „აირჩიე სიცოცხლე!“ – ოფისში უქმად დევს, მაშინ როდესაც, სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე და სხვა ათასი მიზეზით, ფეხმძიმე ქალბატონები აბორტს მიმართავენ, ჩანასახს, მცირე ასაკის გამო, ცოცხალ ორგანიზმად არ აღიქვამენ; ზოგს ეს ძალიანაც აწუხებს, მაგრამ სხვათა რჩევის, სირცხვილის, დაძალების, ჩიხში მომწყვდევის გამო მიდიან ამ გადაწყვეტილებამდე.

ვინ იკეთებს აბორტს? – ყველაზე ხშირად არასრულწლოვნები, რომელთა უმეტესი ნაწილი მშობლების გარეშე, უკეთეს შემთხვევაში კი დედის ან მამის იმედად არის დარჩენილი; ქალები, რომლებსაც უკვე ჰყავთ ერთი, ან მეტი შვილი და ფიქრობენ, რომ მეტის გაჩენა და გაზრდა არ შეუძლიათ; ასევე, აბორტს მიმართავენ ქალები, უკვე მოზრდილი, ან დასაქორწინებელი ქალ-ვაჟი რომ ჰყავთ, და რატომღაც რცხვენიათ შვილის გაჩენა, ვერ ბედავენ ამ ნაბიჯის გადადგმას მათ გამო, სამაგიეროდ, ბედავენ, რომ დაუცველ პატარას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. მერე კი რჩება ტკივილი, სიცარიელის განცდა, რომელიც არაერთგზის შეახსენებს მათ თავს.

სულაც არ გვინდა, სამყარო ორ ნაწილად გავყოთ და ამ ქალებს განაჩენი გამოვუტანოთ; პირიქით, გამოფენის ორგანიზებით, ამ დიდი პრობლემის საზოგადოების წინაშე, „მზის შუქზე“ გამოტანა მოვინდომეთ. ყველაზე მეტი „მზე“ ქალაქის ცენტრალურ ბაღში იყო და მისი მოწყობა სწორედ იქ გადავწყვიტეთ.

მერიის სამსახური უმალვე დაგვთანხმდა, ალბათ, პრობლემის აქტუალობის გამო, და ჩვენც სიცოცხლისა და სიკვდილის, ჩანასახის განვითარებისა და აბორტის ამსახველი ფოტოები ერთმანეთის გვერდიგვერდ განვალაგეთ.

საზოგადოების მხრიდან უდიდესი ინტერესი იგრძნობოდა, დიდებიც გვსტუმრობდნენ და პატარებიც, ქალებიცა და მამაკაცებიც. ბოშებიც გამოჩნდნენ, არცერთი მათგანი ბავშვის გარეშე არ მოსულა, აბორტის ამსახველმა ფოტოებმა მათზე განსაკუთრებით იმოქმედა, ამას ჩვენი ნებით არასდროს გავაკეთებთო, – აცხადებდნენ; ისინი დღევანდელი დღით ცხოვრობენ, მომავალს თითქმის არ გეგმავენ, არც მყარი გარანტიები გააჩნიათ, მაგრამ მაინც აჩენენ, ღმერთმა ამრავლოთ!

ბევრი ათვალიერებდა ფოტოებს და დაკვირვებით კითხულობდა მათზე მოცემულ ინფორმაციას, ბევრიც თვალს ვერ უსწორებდა მას; ერთი კი იყო, ჩვენ, გამოფენის ავტორებს, ყველა მადლობას გვეუბნებოდა ამ საკითხის წინ წამოწევის გამო. მეორე დღეს ბაღში სხვა ადგილზე გადავინაცვლეთ, აქ უფრო მეტად პენსიონერები მოდიოდნენ, გამოფენას ათვალიერებდნენ, მერე კი, სკამებზე დამსხდარნი, აგრძელებდნენ საუბარს; „გააჩინე – კარგია, მერე ვინ დაეხმარებათო“, – ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

მოდით, დავფიქრდეთ, იქნებ, დასავლეთში აპრობირებული ოჯახის დაგეგმვის ბუნებრივი მეთოდი ჩვენთვისაც გახდეს მისაღები; სანამ ოჯახი, როგორც ქართველები იტყვიან, წელში გაიმართება, იქნებ, მართლაც შევიკავოთ თავი შვილის გაჩენისგან; ისე არ გაგვიგოთ, თითქოს შობადობის შემცირების მომხრე ვიყოთ, არა, უბრალოდ, აბორტისა და კონტრაცეპტივების მოწინააღმდეგენი ვართ. ეგოიზმს, სტრესს, ქალის ორგანიზმის ქიმიურ დაბინძურებას, პრობლემასთან მარტოდ დარჩენას ვუცხადებთ უარს.

ქალებს აბორტის ალტერნატივად ავსტრიელი ექიმის ი. როცერის ობდ-ის „სიმპტო-თერმულ მეთოდს“ ვთავაზობთ. იქნებ, ღირდეს დაფიქრებად.

მერე კი ინერ-ჯორჯიას დიპლომირებული ექსპერტ-მეთოდისტები შეასწავლიან მის სილამაზეს, სიმდიდრეს, აუცილებლობას.

დავარიგეთ საინფორმაციო ბუკლეტები, გამოფენის მინი-ფოტოები.

ძვირფასო თანამოქალაქენო, ნუ გვიწყენთ, თუ ზოგიერთი ფოტოს ხილვით დავამძიმეთ ისედაც მუქ ფერებში წარმოსახული ცხოვრება. მაგრამ თუ ერთ-ერთ თქვენგანსაც კი ამ სურათების ნახვამ თითქმის უკვე გადაწყვეტილი აბორტის გაკეთება გადააფიქრებინა, თავს ბედნიერად ჩავთვლით და უფრო მეტად გაგვიმტკიცდება აზრი (რაშიც ეჭვი არ გვეპარება), რომ გამოფენამ ძალზე დადებითი შედეგი გამოიღო. მათ კი, ვისაც ამ დღეებში ქალაქის ცენტრალურ ბაღში არ მოუწია გამოსვლა, მასმედიამ რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით შესთავაზა ამ თემაზე დაფიქრება; ქალაქის მასშტაბით, არცერთი ტელეკომპანია არ დარჩენილა, ეს აქცია რომ არ გაეშუქებინა.

ორმა დღემ ნაყოფიერად ჩაიარა. ჩვენი მიზანი, გაგვეცნო ადამიანებისთვის ეს პრობლემა და დაგვეფიქრებინა ისინი სიცოცხლის მშვენიერებაზე, მიღწეულ იქნა...

მეორე დღეც მიიწურა;

გვერწმუნეთ, მართლაც სინანულით ვალაგებდით ფოტოებს, რადგან მაინც არ წყდებოდა დამთვალიერებელთა ნაკადი, მერე მათაც შეგვაშველეს ხელი და გამოფენა დასრულდა.

გამოფენის აქტუალობით აღფრთოვანებულმა ტელეკომპანია „რიონმა“ 24 ოქტომბერს, გადაცემაში „პიკის საათი“ ერთი საათით ღია ეთერში სასაუბროდ მიგვიწვია. ამ მიპატიჟებამ ორმაგად გაგვახარა, რადგან იყო დრო, როცა მსგავსი აქციებით არათუ რიგითი მოქალაქეები, მასმედიაც ნაკლებად ინტერესდებოდა და გადაცემები ხშირად უფრო ზერელე, ან დამაინტრიგებელი ინფორმაციებით იყო დატვირთული. ახლა კი სულ სხვა ხედვა და მზაობა იგრძნობა. ახალგაზრდა ჟურნალისტებმა ადამიანის ცხოვრებისეულ პრობლემებსა და მორალურ ღირებულებებზე დაიწყეს ყურადღების გამახვილება.

„რიონი“-ს ღია ეთერით, ახლა უკვე მიკროფონის მეშვეობით, ვცადეთ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ამ მარადიულ პრობლემაზე დაფიქრება.

ნინო ჟღენტი *ინერი*

ბავშვობის ლამაზი ხანა

ბავშვობის ხანა... განსაკუთრებით პირველი ექვსი წელი ბავშვის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია. სწორედ ამ დროს ხდება ტვინის უჯრედების 90%-ის აქტივირება და ნერვული სისტემის ჩამოყალიბება. ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანეს როლს ის გარემო ასრულებს, რომელშიც ბავშვი იზრდება. მზრუნველობა ოჯახსა და საბავშვო ბაღში ამის აუცილებელი კომპონენტია, რასაც ხარისხიანი სკოლამდელი განათლება უნდა დაემატოს. ეს კი, თავის მხრივ, კვლევებზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებს, აღმზრდელთა მაღალ კვალიფიკაციას, ბავშვის განვითარების პროცესში მშობლების, ოჯახის წევრების მხარდაჭერასა და ჩართულობას გულისხმობს. საბავშვო ბაღი არის ის დაწესებულება, სადაც ყოველივე ამის რეალიზება ხდება, ამიტომ ამ აუცილებელი სერვისით სარგებლობის უფლება ყველა პატარას უნდა ჰქონდეს.

განსაკუთრებით მისასალმებელია, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა სკოლამდელი დაწესებულების გახსნის ხელშეწყობასა და მხარდაჭერას ცდილობს. ხონის გამგეობის და კათოლიკე მისიონერების მონაწილეობით, სოფელ ახალშენის პატარებმა, 2012 წლის 8 ოქტომბერს, ახალმოსახლეობა იზეიმეს. ამ დღეს 2-დან 6-წლამდე ასაკის თექვსმეტი ბავშვი, ზოგი სიცილით და ზოგიც ტირილით, შევიდა სპეციალურად მათთვის მორთულ ნათელ ოთახებში. მართლაც რომ ლამაზი გარემო დახვდათ, რაზეც მთელი გულით სუორა ანა მარიამ, მამა გაბრიელემ და მამა კარლომ იზრუნეს. ისინი შეეცადნენ, პატარების თვალით დაენახათ, მათი საჭიროების მიხედვით აღექვათ და ეჩუქებინათ მათთვის ლამაზი სამყარო. არც შორს მცხოვრებნი გამორჩენიათ, მათი ტრანსპორტირებაც ორგანიზებულად ხდება, კვებაც ორჯერადია და კერძებიც გემრიელი. სოფლის რამდენიმე მცხოვრებიც დასაქმდა.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქ. ვერონასთან მდებარე ბოსკი სანტანას მერიას გაწეული ფინანსური დახმარებისათვის, რომლის გარეშეც ნამდვილად გაგვიჭირდებოდა.

ასევე, მადლობას მოვახსენებთ აღსაზრდელთა მშობლებს, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ სკოლამდელი აღზრდის უდიდესი მნიშვნელობა, იციან, თუ რაოდენ დელიკატურ და ამაღლებულ საქმეს ვკიდებთ ხელს, რომ ჩვენს შორის აუცილებელია თანამშრომლობითი მჭიდრო კავშირები, რათა შევძლოთ იმ ნდობის გამართლება, რაც, ერთი მხრივ, პატარების და, მეორე მხრივ, განათლების სამინისტროსა და, კონკრეტულად, სკოლის წინაშე გვაკისრია; და რაც ძირითადად აღსაზრდელთა პიროვნული თვისებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებით განისაზღვრება.

25 ნოემბერს ახალშენში ქრისტე – სამყაროს მეუფის, ეკლესიის დღესასწაული და „ახალშენობა“ აღინიშნა. ჩვენმა საყვარელმა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აკურთხა ახლად გახსნილი საბავშვო ბაღი.

მანამ კი, თითქოს შენობამ სული ჩაიდგა, გაცოცხლდა და ახმაურდა. და ახლა, როცა ვინმე ბაღის ახლოს გაივლის, ყურს სიამოვნებს ფანჯრიდან გამოსული, მუსიკას შერწყმული პატარების მხიარული ხმები.

მადლიერია სოფელი. დღე, რომელსაც 60 წელი ელოდნენ, მართლაც რომ ღირდა ლოდინად!

პატივისცემით

ბაღის გამგე ი. აზარაშვილი

მეგრელი ‘ჯვარის მამა’ გაკათოლიკებული ნიკიფორე ირბახია

(დასასრული)

(დასაწყისი „საბა“ № 10,11. 2012)

რომის „კონგრეგაციამ“ ნიკიფორეს ზოგიერთ ცნობებს ეჭვით შეხედა, ამიტომ „კონგრეგაციამ“ ილერიაში და ვენეციაში მცხოვრებ სომხებს მიმართა კითხვით საქართველოს შესახებ, რათა დადასტურებულიყო ნიკიფორეს ცნობები. სომხებმა „კონგრეგაციას“ საქართველოს შესახებ სრულიად საწინააღმდეგო ცნობები მისცეს. ისინი ამბობდნენ, რომ სადაც „კონგრეგაციას“ საქართველო ეგულება, იქ სომხები ცხოვრობენო. ჩვენ იქ არც ქართველებს ვიცნობთ და ისინი იქ არასოდეს ყოფილანო.

ნიკიფორეს ცნობები სომხებმა უარყვეს. „კონგრეგაცია“ სომხებს არ ენდო და სხვებსაც ჰკითხეს საქართველოს შესახებ, ვისაც უმოგზაურია და დაუწერია საქართველოს შესახებ. ასევე ჰკითხეს პიეტრო დელა ვალეს. მან სომხების საწინააღმდეგო ცნობები მისცა „კონგრეგაციას“, საქართველო მშვენივრად აღწერა და დაადასტურა ნიკიფორეს ცნობები.

შარდენის თქმით, ნიკიფორე საქართველოს საქმეებით ისე ყოფილა გატაცებული, რომ ქართველთ მეფის პირობის სისწორის დასამტკიცებლად და საქმის სინამდვილისთვის, პაპის ურბან მე-8 წინაშე მას კათოლიკობაც მიუღია. ნიკიფორეს ეს საქციელი ჩვენ ქართველებს მარტო სარწმუნოებრივ საქმედ არ მიგვაჩნია, მას წმინდა მოქალაქური პირობებიც აკრავს გარს. მას კათოლიკობაში მწერლობისთვისაც მოუკიდია ხელი. სხვათა შორის, „კონგრეგაციას“ მისი თაოსნობით გაუხსნია რომში ქართული სტამბა 1629 წელს. ხუცური და მხედრული ასოების ყალიბების ჩამოსხმაში ნიკიფორეს დიდი შრომა აქვს ჩადებული. პაულინის მიერ მაშინ ახლად შედგენილ „ქართულ-იტალიური ლექსიკონიც“ მას უსწორებია ბეჭდვის დროს, ასევე მარიოს მაჯის გრამატიკა და სხვანი, რაც კი იმ დროს, რომის ქართულ სტამბაში დაბეჭდილა. ქართული სტამბის სასარგებლოდ ნიკიფორეს შრომას მრავალნი მოიხსენებენ.

ქართულის გარდა ნიკიფორეს სხვა ენებზეც უწერია. ქართულ ნაწერებზე ჩვენ არაფერი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ეჭვი არაა, რომ მას ქართულ ენაზეც უმწერლია.

რაც შეეხება ევროპულ ენებზე ნიკიფორეს მიერ საქართველოზე წერას, ამას ადასტურებს შარდენი. მაგალითად, როცა შარდენი ქართველების სარწმუნოების და საეკლესიო საქმეებს აღწერს, იქ ერთ ადგილას ქართველების გაქრისტიანებას და წმინდა ნინოს ისტორიასაც ეხება. წმინდა ნინოს ცხოვრების ცნობებს ნიკიფორე ირბახის წიგნის ცნობებზე ამყარებს და თავის მოსაზრების დასამტკიცებლად ამბობს, რომ „ნიკიფორე ირბახის წიგნის 34 თავშიც წმინდა ნინოს შესახებ ასე სწერიაო“. ჩვენთვის ისიც კმარა, რომ ნიკიფორე ირბახს რვა წიგნი დაუწერია. შეიძლება მეტიც, მაგრამ ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ნიკიფორეს შრომად ითვლება ქართული ანბანის დაბეჭდვა რომში, ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში ეს უპირველეს მაგალითად უნდა ჩაითვალოს, პირველად ირბახს შეუდგენია ქართული ანბანი და რომში დაუბეჭდიათ. ანბანის წიგნაკები საქართველოში გამოუგზავნიათ და ქართველებში დაურიგებიათ. მასვე დაუბეჭდია ქართულ-იტალიური ანბანის წიგნი და ლოცვები, გვგონია იმ დროის ქართველ კათოლიკეთათვის ერთიც და მეორეც დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა. ვფიქრობთ, რომ მარიოს მაჯი, პაულინი და მრავალი სხვაც, იმ დროის ცნობილი პირნი, რომლებმაც რომის ქართული სტამბის გახსნაში დიდი მონაწილეობა მიიღეს, ყველა ისინი ნიკიფორე ირბახის გავლენის ქვეშ იქნებოდნენ. ის მათ დიდ ხელმძღვანელობას გაუწევდა, ბევრ ცნობებს გადასცემდა.

ნიკიფორე ირბახის დამსახურებაა, რომ საქართველომ მე-17 საუკუნეში, იტალიელთა დიდი ყურადღება მიიპყრო, ბევრმა აიღო კალამი და საქართველოს, ქართველი ერის, მისი ენის, სარწმუნოების შესახებ სწერეს. რაც მე-17 საუკუნეში საქართველოზე წიგნები დაიწერა, იმდენი და იმნაირი წიგნები მას შემდეგ საქართველოზე აღარ დაწერილა.

სამწუხაროდ არ ვიცით რამე ნიკიფორე ირბახის მშობლებზე და უცნობია, თუ ეს პიროვნება სად და როდის გარდაიცვალა. შეიძლება სხვა ცნობები მასზე რომში იყოს დატოვებული. შეიძლება რომელიმე ცნობა საქართველოშიც იყოს.

კარგად ჩანს, რომ რომის „კონგრეგაციის“ წინაშე, საქართველოს ერის გაცნობის საფუძველი პირველად თითქმის ნიკიფორე ირბახს ჩაუყრია. ამის გამო რომში ხშირად უმგზავრიათ ქართველ კათოლიკეებს და „კონგრეგაციის“ სკოლაში მათ შვილებს სწავლაც დაუწყიათ. ალ. ხახანაშვილის გამოანგარიშებით 1633-1653 წლამდე, 27 ქართველ კათოლიკეთა შვილებს მიუღიათ განათლება. ისინი ყველანი სასულიერო პირებად მოემზადნენ. ნათლად ჩანს, რომ ნიკიფორე ირბახის შემდეგ, საქართველოს მეფეთ, მთავართა, ქართველ კათოლიკეთა და რომის „კონგრეგაციას“ შორის დაახლოებული მიწერ-მოწერა დაწყებულა, ასევე ხშირი სიარული რომში. ასევე რომიდან იწყეს საქართველოში ხშირად მოძღვარ-მქადაგებელთა გამოგზავნა, განსაკუთრებით მათი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებზე. ამაზე დაწერილი აქვს მ. თამარაშვილს, თავის შრომაში.

ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები აღწერილი და დაბეჭდილი ზ. ჭიჭინაძისაგან. თბილისი. მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ. №21. 1904–1905 (ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) (მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

Tere (ბაძაჯოვა) ტალინ!

კონფერენცია: ეკუმენიზმის გამოწვევები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

ვიზიტის საქმიანი მხარე

12-13 ოქტომბერს ქალაქ ტალინში გაიმართა კონფერენცია თემაზე: ეკუმენიზმის გამოწვევები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რომლის ორგანიზატორია NELCEE (Network of Ecumenical Learning in Central and Easter Europe) – ეკუმენური სწავლების ქსელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ეკუმენიზმზე ჟურნალ „საბას“ მკითხველებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ, ვინაიდან გაზეთში დროდადრო იბეჭდებოდა სტატიები ამ თემის შესახებ. ვიცით, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, ეკუმენიზმი ერესი ჰგონია. ეკუმენიზმი ამგვარად ესმით არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც. იმისათვის, რომ ადამიანები ასეთი მცდარი შეხედულებისგან გათავისუფლდნენ, აუცილებელია ფორმაცია, მოსახლეობის სწორად ინფორმირება და სწავლება. სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა ეს კონფერენცია.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის თორმეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, კონფერენციის მსვლელობისას, იმსჯელეს თავიანთ ქვეყნებში ეკუმენური სწავლების შესახებ. ამ ქვეყნებში, ეკუმენური სწავლების თვალსაზრისით, რადიკალურად განხვავებული სურათია. მაგალითად, ლატვიასა და ესტონეთში ეკუმენიზმი მხოლოდ სკოლებში ისწავლება; უნგრეთში, უკრაინასა და რუმინეთში კი კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; რაც შეეხება საქართველოს, ბელორუსიასა და საბერძნეთს, ამ ქვეყნებში ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ზედმეტია. ამათგან ყველაზე სავალალო მდგომარეობაა ბელორუსიაში. შეხვედრის მონაწილეებმა, თავ-თავიანთი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, იმსჯელეს ისეთი საკითხის მოგვარების გზებზე, როგორიცაა ეკუმენიზმის გაგება. ესტონეთის წარმომადგენელი, თავის მოხსენებაში: „ეკუმენიზმის საკითხის რეზიუმე: მრავალმხრივი მიდგომების შესაძლებლობები ესტონეთის მაგალითზე“, – ასკვნის, რომ ამ საკითხისადმი მიდგომის ყველაზე კარგი საშუალებაა გახსნილობა და გულწრფელობა.

ვიზიტის მეორე მხარე ☺

ტალინი, ესტონეთის დედაქალაქი, ალბათ, ბევრისთვის კარგადაა ცნობილი. როდესაც, იქიდან დაბრუნებული, ჩემს ნაცნობებს აღფრთოვანებული ვუზიარებდი შთაბეჭდილებებს, აღმოჩნდა, რომ მათ შორის უმრავლესობა ძალიან კარგად იცნობდა ამ ლამაზ ქალაქს. მიუხედავად ამისა, მაინც მინდა, ცოტა რამ დავწერო ამ ქალაქის შესახებ, რაც მკითხველთა ნაწილს აქ გატარებულ ლამაზ დღეებს გაახსენებს, ნაწილს კი, უბრალოდ, ვირტუალურად ვამოგზაურებ (შევეცდები) ამ ქალაქში.

ძველისა და თანამედროვეობის იდეალური სინთეზი, ქვაფენილიანი, რკინის ლამპიონებით განათებული ქუჩები, გოთური სტილის წვეტიანი სახურავები, ფერადი სახლები, კოშკები და შუასაუკუნეობრივი ბაზრები, მოდური რესტორნები, კაპუჩინო და WiFi (ტალინის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი უბანი „ძველი ქალაქი“)... XIII-XVI საუკუნეებში აგებულ ქალაქში ძველი და ახალი ისე გემოვნებიანად არის შერწყმული, რომ ერთი მეორეს სახეს არ უკარგავს და, საერთო ჯამში, ზღაპრულ სამყაროში იგრძნობთ თავს. უცხო ქალაქში ყოფნისას, ჩემდა უნებურად, ყოველთვის იმას ვაქცევ ყურადღებას, რაც მინდა რომ საქართველოში იყოს, და არ არის ☺. აქაც, პირველ რიგში, ძველისა და ახლის ჰარმონია მომხვდა თვალში და ამასთან, ქალაქის სისუფთავე. არ შემიძლია, არ აღვნიშნო პარკების სიმრავლე, თითქმის ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდება;

▶ 18 გვ.

◀ 17 ბ3. ეს ულამაზესი პარკები ქალაქს სიმწვანითა და სუფთა ჰაერით უზრუნველყოფს. XIII საუკუნის შენობები ისეა შენახული, ზედ ერთ წარწერასაც ვერ ნახავთ (საქართველოსგან განსხვავებით). ქალაქის ეს ნაწილი 1997 წლიდან UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული.

ტალინში ბევრი ღირსშესანიშნაობაა, აქ შეხვდებით 1422 წლიდან მოქმედ აფთიაქს (სადაც არის როგორც ახალი პრეპარატები, ასევე შუასაუკუნეობრივი სამკურნალო საშუალებები). წმიდა სამების ეკლესიის შენობას ამშვენებს უძველესი, XIV საუკუნის დიდი საათი, რომელიც დღემდე მუშაობს (როგორც გვითხრეს, მას არც არასოდეს შეუწყვეტია ფუნქციონირება). 1900 მ. სიგრძის კედელი, თავისი 46 კოშკით, გარს არტყია ძველ ქალაქს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალაქში ყველაფერს კარგად უვლიან, ძველსაც და ახალსაც; ქუჩებში მოძრავი ძველებური ტრამვაი ამის კარგი მაგალითია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ყველაფერი ძველი დროისაა. ქალაქში დანერგილია ტექნიკის უახლესი სერვისები, მაგ: მობილური ტელეფონიდან შესაძლებელია გადაიხადო გადასახადი ავტომანქანის სადგომისთვის (parking). და ბოლოს, ტალინი არის ქალაქი, სადაც გამოიგონეს ყველასთვის კარგად ცნობილი skype.

შორენა პარუნაშვილი

ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა, რომელსაც მსოფლიო 1996 წლიდან აღნიშნავს, ხოლო საქართველოში ამ თარიღის აღნიშვნა და წლის ტოლერანტობის ქომაგის გამოვლენა ბოლო რამდენიმე წელია სისტემატურად წარმოებს, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის თაოსნობით.

15 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის საბჭომ საზეიმოდ აღნიშნა ეს დღე და გამოავლინა წლის განმავლობაში ტოლერანტობის ქომაგები. მიმდინარე წელს ეს საპატიო ტიტული პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რადიო „ამერიკის ხმის“ საქართველოს რედაქციას გადაეცა.

ბევრად მასშტაბური და მრავალრიცხოვანი გახლდათ მეორე დღეს „ვერე პალასში“ საქართველოს პარლამენტის მიერ ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა. გასულ წლებში, ამ დღესთან დაკავშირებით, საზეიმო მიღება პარლამენტში ხორციელდებოდა, მაგრამ პარლამენტის ქუთაისში გადატანის გამო, პარლამენტის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების შეწუხებას და ქუთაისში მიპატიჟებას, აჯობებდა თბილისში თავად ჩამოსულიყო და აქ შეხვედროდა მოწვეულ სტუმრებს.

16 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს უმასპინძლეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, იგი მოხარულია, რომ ახალარჩეული პარლამენტის ერთ-ერთი პირველი საჯარო ღონისძიება სწორედ უმცირესობის მონაწილეობით გაიმართა. ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საზეიმო მიღება, პარლამენტის სახელით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სასტუმრო „ვერე პალასში“ გაიმართა.

„არ შეიძლება ტოლერანტობის დღე იყოს ერთი დღე, ეს უნდა იყოს ცხოვრების წესი, ეს უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიურობა. ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ტოლერანტობა არა მისაღწევი ღირებულება, არამედ ცხოვრების ნაწილი იქნება“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მისი თქმით, ახალი ხელისუფლების ამბიცია არის საქართველოში პოსტკომუნისტური ეპოქის დასრულება და თავისუფალი, ტოლერანტი, ერთმანეთისადმი მოწიწებითი დამოკიდებულების პრინციპებზე აწყობილი საზოგადოების ხელშეწყობა.

„არ მინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა წელიწადში ერთ-

ხელ ამგვარ შეხვედრებზე ამოიწუროს. საერთო სამშობლოში, საქართველოში, ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ჩვენი მომავალი“, – მიმართა სტუმრებს პარლამენტის თავმჯდომარემ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას თქმით, პარლამენტში ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ყოველწლიურად იმართებოდა და ახალმა ხელისუფლებამ ეს ტრადიცია არ დაარღვია. მისივე თქმით, საქართველო მრავალეროვანი, მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც უმცირესობების უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

„ჩვენთვის ეს მართლაც არ არის ერთი დღის თარიღი. ახალი ხელისუფლებისთვის ადამიანი მთავარი ფასეულობა და ღირებულებაა, რომელზეც უნდა იყოს აწყობილი სხვა ყველაფერი, რაც კეთდება ქვეყანაში. ადამიანი არ უნდა იყოს საშუალება რაიმე მიზნის მისაღწევად“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მიღების შემდგომ, პირად საუბარში პარლამენტის თავმჯდომარემ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადეს, რომ ნებისმიერ დროს მზად არიან, შეხვდნენ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს და ერთობლივი შეთანხმებით გადაჭრან მათ წინაშე წამოჭრილი ყველა პრობლემა.

კორესპონდენტი

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
გამოჩენილი ქართველი კათოლიკენი 10
საქართველოს კარიტასი 11
სოციალური პრობლემები 14
საარქივო მასალები 16
ინფორმაცია 17
საგანგებო ჩანართი .....I-IV

განუსვენე მათ, უფალო!

რიფსიმე ხითარიშვილი
* 01.03.1934 – ს. არალი
† 03.11.2012 – ვალე

გივი დათაშვილი
* 17.07.1950 – ხიზაბავრა
† 29.10. 2012 – ასპინძა

ვალერიან ჩიტაშვილი
* 16.09.1935 – ვალე
† 27.09.2012 – ვალე

გიორგი კუსიანი
* 02.03.1945 – წარბასტუმანი
† 25.10.2012 – კახარეთი

ვლადიმერ ცარუკიანი
* 22.04.1939 – ნინოწმიდა
† 26.10. 2012 – ბენარა

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

„საქართველოს კარიტასის“ საოჯახო ტიპის სახლის გახსნაზე

მოხალისეთა ფორუმი 2012

„საბას“ კორესპონდენტების შეხვედრა

“ ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა!

(2 კორ. 3,17)

გამოფენა ქუთაისში – „აირჩიე სიცოცხლე“